# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.



ოთხშაბათი, 4 ნოემბერი, 2009 წელი.

№ 223 (6323)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ზარის ჩამოკვრის დროა!..

ილიას ძეგლისთვის, მისი ხსოვნისთვის სხვა უფრო კარგი ადგილი ბათუმში არ არსებობს. ბრძნულად იქნა შერჩეული.

7



## ყველა ქართველს უნდა ახსოვდეს!

*მთელი თანამედროვე საქართველო, ყველა, ვინც მაშინ ბათუმში იყო და ჩვენც, რომლებიც ტელევიზორთან მოკალათებულები ვუყურებდით მემედ აბაშიძის ცეცხლმოკიდებულ ძეგლს, ანუ დიდი ქართველის მეორედ დახვრეტის პროცესს, ვერასოდეს ვერ განვთავისუფლდებით ზნეობრივი პასუხისმგებლობისგან, ვერ მოვიშორებთ ამ ლაქას. ეს იყო 1937 წლის ტრაგედიის გამეორება!*

## კახა კაციტაძე:



### ვიდრე არ გავიაზრებთ, რომ ქართული სახელმწიფო არ შემდგარა, არაფერი გამოვა

3

## ამჟამინდელი საქართველოს პოლიტიკის გენიალოგიური ხე

3

*ქართული პოლიტიკის „გენიალოგიური ხე“, თავის დროზე 80-იანი წლების კომუნისტურ-კომკავშირული ელიტის, მწვანეთა პარტიისა და კიდევ რამდენიმე არცთუ ისე ძლიერი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი გაერთიანების ერთმანეთზე დამყნობით აღმოცენდა და მას „მოქალაქეთა კავშირი“ დაერქვა.*

*შემდგომში პოლიტიკური კლიმატის ცვალებადობის გამო, უცხოელმა მებაღეებმა ეს ხე „გადაბელეს“ და მასზე „თავისუფლების ინსტიტუტში“ გამოყვანილი ნერგები დაამყნეს.*



## ევგენი პრიმაკოვი:

### იმ ფაქტმა, რომ ბომბი თბილისში ჩამოვარდა, განსაკუთრებით ანტირუსული როლი შეასრულა

8

## ვის დასვამს კრემლი ამჯერად აფხაზეთის პრეზიდენტად. 12 დეკემბერს გახდება ცნობილი



4

## აკაკის „გამზრდელის“ კითხვისას სერგეი შამბას თვალზე ცრემლი მოდგომია

9



*ქართული ენა ჯერ კიდევ ბავშვობაში ისწავლა, მაშინ, როცა მშობლებთან ერთად გუდაუთაში ცხოვრობდა. შემდეგ სოხუმის მეათე საშუალო სკოლაში შეიყვანეს. 1969 წელს თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ისტორიის ფაკულტეტზე ჩააბარა.*

## წიგნებს მოტამაგირე ეზიდება!

6



## დავით ბაქრაძე და ჟურნალისტები დამეგობრდნენ

2

## გარდაიცვალა დოდო ჭიჭინაძე



**წმ. მიხეილის** სახელობის საავადმყოფოში, გუშინ, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი **დოდო ჭიჭინაძე.**

როგორც მსახიობის მეგობარმა კომპოზიტორმა მარიკა კვალიაშვილმა განაცხადა, მსახიობი ბოლო პერიოდში თავს ცუდად გრძნობდა, რის გამოც იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული აღმოაჩნდა.

დოდო ჭიჭინაძეს კინოსა და თეატრის სცენაზე უამრავი სახე აქვს შექმნილი. იგი საქართველოს დამსახურებული არტისტია. დოდო ჭიჭინაძის სახელობის ვარსკვლავი კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ ახლახან გაიხსნა.

№ 223. ოთხშაბათი, 4 ნოემბერი, 2009 წელი.

შეხვედრა

# დავით ბაქრაძე და ჟურნალისტები დამეგობრდნენ

**პარლამენტის მედიაცენტრში გუშინ დავით ბაქრაძე აკრედიტებულ ჟურნალისტებს შეხვდა. თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკოსებისა და მედიის წარმომადგენელთა ბანალურ ურთიერთობას, ეს შეხვედრა ნამდვილად განსხვავებული იყო.**



პარლამენტის თავმჯდომარე მედიის პრობლემებით დაინტერესდა, თუმცა არა პარლამენტს გარეთ, არამედ შიგნით. ამ მხრივ ჟურნალისტებს საწუწუნო, მართლაც რომ, არაფერი აქვთ; მედიაცენტრი აღჭურვილია კომპიუტერებით, საუკეთესო ინვენტარით და სრული კომფორტიცაა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, პარლამენტში უკვე მერამდენე კვირაა არც ერთი გაზეთი არ შესულა. უბრალოდ, ეს იმიტომ, რომ გაზეთებზე ხელმოწერა შეწყდა.

დავით ბაქრაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამიერიდან აბსოლუტურად ყველა გაზეთის თითო ეგზემპლარი მედიაცენტრში აუცილებლად იქნება და მომავალი წლის ბიუჯეტშიც გაითვალისწინებენ — აბა როგორ, პირველად თქვენ უნდა „მოიწამლოთო“, — დასძინა ხუმრობით. თუმცა კი ეს ხალისიანი ტონი შეხვედრის ბოლომდე შენარჩუნდა.

პოლიტიკური კითხვები ამჯერად არ იყო გათვალისწინებული, ამიტომ დიალოგი ნაკლებად მწვავე გამოვიდა, უფრო სწორად, სიმწვავე საერთო არ იგრძნობოდა.

პრეტენზიები ტელეჟურნალისტებს ჰქონდათ იმასთან დაკავშირებით, რომ დილის 11 საათზე პარლამენტში არც ერთი დეპუტატი არ არის, რის გამოც დღის პირველ ნახევარში საინფორმაციო გამოშვებებში პირდაპირი ჩართვები პარლამენტიდან თითქმის შეუძლებელია. რადგანაც ძალიან ბევრს ვმუშაობთ გვიანობამდე, ადრე ადგომას ვერ ვახერხებთო, — იყო პასუხი.

პარლამენტის ქუთაისში გადატანის თემაც საკმაოდ აქტუალურად შემოიჭრა შეხვედრისას, მაგრამ იმდენად ირონიზებული იყო, რომ ძნელი სათქმელია, მართლაც მოსწონს თუ არა თავად ბაქრაძეს ქუთაისში მუშაობის იდეა. ყოველ შემთხვევაში, ჟურნალისტები სპეცავტობუსით (თუ ვერტმფრენებით არაძ აუცილებლად ისარგებლებთო.

მედიის წარმომადგენლებმა ბაქრაძეს სემინარების ჩატარების თხოვნითაც მიმართეს, ბურჯანაძის დროს „განებივრებულები“ ვიყავითო. პარლამენტის თავმჯდომარეც თანახმაა, ჟურნალისტების ტრენინგებისა და მათი გადამზადებისთვის იზრუნოს.

ცალ-ცალკე რომ მხვდებით, ყველას რაღაც პრეტენზია გაქვთ, მუდამ წუწუნებთ, ერთად შეკრებილები კი რა ჩუმად ხართო, — გაიკვირვა ბაქრაძემ. ეს იმიტომ რომ პოლიტიკაზე არ ვსაუბრობთო, — თითქმის ერთხმად უპასუხეს ჟურნალისტებმა.

იმდენჯერ მიიპატიჟა ცხელ ჩაისა და ყავაზე მასპინძელმა სტუმრები, რომ აშკარად ეჭვი არავის შეჰპარვია ბაქრაძის იმერლობაში, თუმცა თავად უარი თქვა ჟურნალისტებთან ერთად „ალა-ფურშეტობაზე“ და შეხვედრა კმაყოფილმა დატოვა...

**ნია ფიფია**

...სად იყავი მაშინ?

# „ვარდების“ ხელისუფლება საზოგადოებას უმალავს...

**ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა სპეციალური განცხადება გააკეთა და კიდევ ერთხელ გააკრიტიკა „ვარდების“ ხელისუფლება. როგორც ლეიბორისტების ლიდერმა აღნიშნა, ხელისუფლება მალავს იმ ფაქტს, რომ სერბეთმა სარჩელი შეიტანა საერთაშორისო სასამართლოში კოსოვოს დამოუკიდებლობის არაკანონიერების შესახებ, თანამოსარჩელე ქვეყნები კი ესპანეთი, კვიპროსი და რუმინეთია.**



შალვა ნათელაშვილი: „ჩვენი ტერიტორიების დაკარგვა არა 8 აგვისტოს, არამედ კოსოვოდან დაიწყო, სწორედ მისმა აღიარებამ გამოიწვია სამხრეთ ოსეთის აღიარება, როგორც მოგეხსენებათ, არც ესპანეთს, არც რუმინეთს არაფერი დაუკარგავთ, მაგრამ მაინც იბრძვიან ამ უკანონობის წინააღმდეგ. სად იმყოფება ამ დროს საქართველოს პრეზიდენტი? მას პირველს უნდა დაეწერა სარჩელი და შეეტანა საერთაშორისო სასამართლოში, სწორედ მიხეილ სააკაშვილი უნდა ყოფილიყო მთავარი მოსარჩელე, ამის მაგივრად ის და მისი ხელისუფლება სერბეთის სარჩელის შესახებ არაფერს ამბობს. პროცესის მოგების შანსი 50-50-ზეა, თუ მიხეილ სააკაშვილს ერთი წვეთი ქართული სისხლი შერჩენია, ყატარში ფულის გასათეთრებლად სირბილის მაგივრად, ჯობს სასწრაფოდ დაწეროს სარჩელი და შეუერთდეს ინიციატორ ქვეყნებს — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

**მერი ქურასბედიანი**

ერიჯა!

## ვინ დაეხმარება ცაგარეიშვილს საჯარო ინფორმაციის მიღებაში?

**პარლამენტარი გია ცაგარეიშვილი ხელისუფლებისგან საჯარო ინფორმაციის მიღებაში დახმარებას პარლამენტის თავმჯდომარეს სთხოვს.**

ცაგარეიშვილმა ეს თხოვნა გუშინ საპარლამენტო სესიაზე გააჟღერა და მთავრობისა და პრეზიდენტის ფონდების ხარჯვასთან დაკავშირებით ინფორმაცია ითხოვა.



მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის მოთხოვნიდან თვეზე მეტია გასული, უწყებების ნაწილმა დეპუტატის მოთხოვნას პასუხი საერთოდ არ გასცა. ცაგარეიშვილის განცხადებით, ფინანსთა სამინისტრომ მას პასუხის ნაცვლად „რებუსი“ გამოუგზავნა. სწორედ ამიტომ ცაგარეიშვილი ამ ფაქტს როგორც დეპუტატის, ასევე მთლიანად პარლამენტის შეურაცხყოფად აფასებს და დავით ბაქრაძეს დახმარებას სთხოვს.

— მე ვარ დეპუტატი და საჯარო ინფორმაციის მიღება მეც კი მიჭირს და წარმოიდგინეთ, რიგითი მოქალაქე რა დღეში აღმოჩნდება. ეს არა მარტო ჩემი, არამედ მთლიანი პარლამენტის შეურაცხყოფაა. მოგმართავთ პირადად თქვენ, რომ დამეხმაროთ ინფორმაციის მიღებაში, თუ არადა, მირჩიეთ სად დავაყენო ეს საკითხი ეუთოში, გაეროში თუ სხვაგან, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს, — განაცხადა გიორგი ცაგარეიშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ცაგარეიშვილს დახმარება აღუთქვა.

**ექსპრესნიუსი**

ინფორმაცია

## ცისკარიშვილმა, კახელები მთავრობას უნდა უმადლოდეთო



**საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი აცხადებს, რომ მთავრობას კახეთში წინასწარ აქტიური ქმედებები რომ არ განეხორციელებინა, ზარალი ხუთჯერ უფრო მეტი იქნებოდა. ეს განცხადება პეტრე ცისკარიშვილმა პარლამენტის სესიაზე გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, ვითარება კახეთში საკმაოდ რთულია, თუმცა იგი აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ ამ დღეებში მედიამ რატომღაც იმ საკითხზე არ გაამახვილა ყურადღება, რომ წინასწარ ჩატარდა აღდგენითი და ინფრასტრუქტურის მშენებლობის სამუშაოები, რამაც ზარალი მნიშვნელოვნად შეამცირა.**

— რომ არა ის სამუშაოები, რაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელდა, ზარალი ხუთჯერ მეტი მაინც იქნებოდა. მე არ ვიცი, ეს სათანადოდ რატომ არ გაშუქდა მედიაში, მაგრამ ფაქტია, — აცხადებს ცისკარიშვილი და ასახელებს რამდენიმე სოფელს, რომელიც კახეთში წყალდიდობას სწორედ იმიტომ გადაურჩა, რომ აქ ბოლო ერთი წლის განმავლობაში აშენდა სათანადო ინფრასტრუქტურა, რაც, მისი თქმით, მთავრობის დამსახურებაა.

## ვაშაძეს რუსეთის მოქალაქეობას ჩამოართმევენ?



**ალნიშნულის შესახებ ინფორმაციას რადიო „ეხო მოსკვი“ ავრცელებს.**

რადიოს ცნობით, ვაშაძისთვის რუსეთის მოქალაქეობის გაუქმების ინიციატივით დუმის დეპუტატი სემიონ მოგდასაროვი გამოვიდა, რომელიც სახელმწიფო სათათბიროში ფრაქცია „სამართლიან რუსეთს“ წარმოადგენს.

ვაშაძისთვის რუსეთის მოქალაქეობის ჩამორთმევის თაობაზე მოგდასაროვის წინადადებას, სავარაუდოდ, შესაბამისი უწყებების მხარდაჭერა მოჰყვება.

## ბათუმს ახალი დროშა და გერბი ექნება

**ამის შესახებ გადაწყვეტილება ბათუმის საკრებულომ მიიღო.**

**წინასწარი ინფორმაციით, ახალი დროშა თეთრ და ლურჯ ფერებში იქნება, რაც შეეხება გერბს, მასზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშასთან ერთად ტალღოვანი კვეთებია დატანილი.**

გერბზე ამავდროულად შეამჩნევთ ციხე-სიმაგრის ფორმის გვირგვინს, რომელზეც ძველი მონეტებია გამოსახული.

აჭარის რეგიონს 80-იანი წლების შემდეგ საკუთარი სიმბოლიკა არ გააჩნდა.

## მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხებზე იმსჯელეს

**გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გუშინ გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ე.წ. საზღვრებთან არსებულ ვითარებასა და მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხებზე იმსჯელეს.**

შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის შოთა უტიაშვილის განცხადებით, მათ მხარეებთან ავადმყოფების ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე უპრობლემოდ გადმოყვანის შესაძლებლობებზე ისაუბრეს.

უტიაშვილის განცხადებით, მომდევნო შეხვედრა ორ კვირაში გაიმართება.

## ეს არის კანონის უზენაესობა?

**შოკოლადის ქარხანა „მზიურის“ მესაკუთრეები ეკონომიკის სამინისტროსგან უზენაესი სასამართლოს 2001 წლის დადგენილების აღსრულებას მოითხოვენ. ამის მოთხოვნით მესაკუთრეებმა გუშინ ეკონომიკის სამინისტროს წინ აქცია გამართეს.**

— მოვითხოვთ აღსრულდეს უზენაესი სასამართლოს დადგენილება. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება 8 წელია არ სრულდება. მესაკუთრეები არ ვაპირებთ დანებებას და ბოლომდე ვიბრძოლებთ ჩვენი უფლებების დასაცავად, — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ მერი ჩერქეზიშვილმა.

„მზიური“ შრომითმა კოლექტივმა დააყადაღა, რადგან მესაკუთრეების მეორე ჯგუფი გამოჩნდა, რომელთაც გაურკვეველ ვითარებაში შეიძინეს ქარხნის ქონება.



— არაკანონიერმა მესაკუთრეებმა კიდევ ერთი ჯგუფის გამოჩენის შემდეგ, ქონება დავაყადაღებინეთ ეკონომიკის სამინისტროს, რათა არ მომხდარიყო ქარხნის გაძარცვა, მაგრამ დაყადაღებულ ქარხანაში დღეს მხოლოდ კედლებილაა დარჩენილი. 25-კაციანმა ჯგუფმა ქარხანაში არსებული დანადგარები ჩუმად გაყიდა. ამიტომ მოვითხოვთ, ეკონომიკის სამინისტროსგან ამ ფაქტში გარკვევასა და ჩვენი უფლებების დაცვას, — დასძინა აქციის მონაწილემ.

აქციის მონაწილეთა ინფორმაციით, შოკოლადის ქარხანა შრომითმა კოლექტივმა, რომელშიც 800 კაცი შედიოდა, 1993 წელს გამოისყიდა. უზენაესმა სასამართლომ მიიღო დადგენილება, რომ „მზიური“ ნამდვილად შრომითი კოლექტივის საკუთრებაა, თუმცა ეს დადგენილება დღემდე არ აღსრულებულა.

**ექსპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

განსჯა

# ამჟამინდელი საქართველოს პოლიტიკის გენიალოგიური ხე

*ქართული პოლიტიკის „გენიალოგიური ხე“, თავის დროზე 80-იანი წლების კომუნისტურ-კომკავშირული ელიტის, მწვანეთა პარტიისა და კიდევ რამდენიმე არცთუ ისე ძლიერი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი გაერთიანების ერთმანეთზე დამყნობით აღმოცენდა და მას „მოქალაქეთა კავშირი“ დაერქვა.*

*შემდგომში პოლიტიკური კლიმატის ცვალებადობის გამო, უცხოელმა მებაღეებმა ეს ხე „გადაბელეს“ და მასზე „თავისუფლების ინსტიტუტში“ გამოყვანილი ნერგები დაამყნეს.*

*ამ ახალ „მცენარეს“ მათ რატომღაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უწოდეს და მასზე მოყვანილი ნაყოფებით ქართული პოლიტიკური ბაზარი მთლიანად აავსეს.*

*შემდგომ კლიმატი კვლავ შეიცვალა. დასავლურ სათბურებში კარგ პირობებს შეჩვეულმა „ჩითილებმა“ ქართველი მომხმარებელი ვერ დააკმაყოფილა და ქართული პოლიტიკის „ბაღში“ მდგარ მთავარ „ხეს“ საკმაოდ საოცარი „ტოტები“ გამოესხა.*

*გთავაზობთ ამ „ხის“ დღევანდელ მდგომარეობას:*



დაახლოებით ასეთია XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს პოლიტიკური „ქორწინებებითა“ და „განქორწინებებით“ მიღებული გენიალოგიური ხის სურათი.

ქართული პოლიტიკის ბაღში კიდევ მრავალი მცენარე იზრდება.

ნამდვილად არ ღირს საუბარი იმათზე, რომლებიც უკვე „გახმა“ და სავარაუდოდ ერთ ზამთარსაც ველარ გაატანს. არც იმათზე, რომლებიც „უშვილძიროდ გადაგების“ საშიშროების წინაშე დგანან.

ცხადია ბევრი ახლა იწყებს „ტანის ამოყრას“ და „ხეჭეჭურის“ არ იყოს, უახლოეს თხუთმეტ წელიწადში გვპირდება პირველ ნაყოფს (მათზე საუბარიც ნამდვილად უინტერესოა. ყოველ შემთხვევაში „მოცემულ ისტორიულ მომენტში“ მაინც).

ჩვენი დღევანდელობისთვის უფრო ის პოლიტიკური ორგანიზაციებია საინტერესო, რომელთა ქმედებას სხვადასხვა სახის შედეგი მოაქვს ჩვენი სახელმწიფოსთვის.

ასეთი ორგანიზაციებიც საკმაოდ მრავლად არიან პოლიტიკურ არენაზე და მიუხედავად იმისა, რომ მათ მიმართ მოსახლეობის შეხედულებები არაერთგვაროვანია, გარკვეული წვლილი მაინც შეაქვთ იმაში, რომ საქართველოში აბსოლუტური დიქტატურა ჯერ არ დამყარებულა.

მოსახლეობის არაერთგვაროვან დამოკიდებულებას კი ის იწვევს, რომ ქართული პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკა, საკმაოდ მრავალი (და მრავალფეროვანი) უცნაურობებით ხასიათდება.

ერთ-ერთი უცნაურობა ის არის, რომ ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები, ფაქტობრივად ზუსტად იმეორებენ შორეულ თუ არც თუ ისე შორეულ წარსულში დაშვებულ შეცდომებს.

მაგალითად:

საქართველოს მეფე გიორგი II-მ ვეჟინის ციხეს ალყა მოხსნა და აჯამეთის ტყეში სანადიროდ გასწია.

„ეროვნულმა ფორუმმა“ პარლამენტის „ალყა“ მიატოვა და რეგიონებში „სანადიროდ“ გაეშურა.

შაჰ აბას I-მა ლუარსაბ II სანადიროდ და დიალოგისთვის მიიწვია და ასე ნადირობა-დიალოგით ასტრაბადის ციხეში გამოამწყვდია.

ბევრი ქართველი ოპოზიციური ლიდერი დადიოდა (და დღესაც დადის) სადიალოგოდ (ნადირობის ამბავს ნამდვილად ვერ გეტყვით) მიხეილ სააკაშვილთან.

კიდევ მრავალი და ბევრად უფრო ზუსტი შედარებების მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამ თემას შემდგომისთვის გადავდებ.

ამ წერილის მიზანს კი იმ პოლიტიკური „ქორწინებებისა“ და მათი სავარაუდო შედეგების მცირე მიმოხილვა წარმოადგენს, რომელთაც ამ მოკლე ხანში უნდა ველოდოთ.

ნაციონალური მოძრაობა უკვე კარგა ხანია „მტკიცე ქორწინებაში“ იმყოფება „თავისუფლების ინსტიტუტთან“ და „მეზობლების დასანახად გამართული მათი კინკლაობა“ (დაპირისპირება უგულავასა და სააკაშვილს შორის, თეა თუთბერიძის გამოხდომების დაგმობა და თუნდაც მისი პროკურატურაში დაბარება) ანგარიშში ჩასაგდები არ არის.

რადგანაც „ლეიბორისტები“ თავგადაკლული „ბერბიჭები“ არიან, ალასანიამ, ახალმა მემარჯვენეებმა და რესპუბლიკელებმა უკვე შექმნეს თავიანთი „ალიანსი“, ხოლო ე.წ. საპარლამენტო ოპოზიციას არავინ არ სთავაზობს არც „გულს“ და არც „ხელს“, ამიტომ მათზე არ შევჩერდები და ბურჯანაძე-ოქრუაშვილის პარტიების სავარაუდო კავშირზე ვიტყვი ორიოდ სიტყვას.

ცხადია, რომ ამ გაერთიანებას (ჩამოყალიბების შემთხვევაში) საკმაოდ დიდი წონა და გავლენა ექნება რამდენიმე მიზეზის გამო.

1. ბურჯანაძეც და ოქრუაშვილიც ძალიან კარგად იცნობენ სააკაშვილს და მის გარემოცვას. იციან მათი ძლიერი და სუსტი მხარეები.

2. აქვთ უნარი, სწორად შეაფასონ და მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენონ თავიანთი რეალური შესაძლებლობები.

3. ბურჯანაძეს და ოქრუაშვილს აქვთ საკმაოდ ნორმალური მატერიალური ბაზა და მისი გაზრდის საშუალებები.

4. მათ აქვთ საკმაოდ კარგი კავშირები დასავლეთში (ოქრუაშვილისგან განსხვავებით, ბურჯანაძეს „სლავურ ქვეყნებშიც“ საკმაოდ კარგი ნაცნობობა ჰყავს).

5. ქართული მოსახლეობის ემოციური ნაწილი დადებითად აფასებს სააკაშვილის მიმართ მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს (ხელისუფლებიდან ხმაურიანი წამოსვლა და უკომპრომისობა). ასევე სხვა არსებულ ლიდერებთან შედარებების გაკეთების დროს, მათ უფრო ანიჭებს უპირატესობას.

ყოველივე ზემოჩამოთვლილიდან გამომდინარე, ეს კავშირი ნამდვილად ძლიერ ძალად შეიძლება იქცეს. მით უმეტეს, რომ მათ აუცილებლად შეუერთდებიან კონსერვატორები, სავარაუდოდ კი სალომე ზურაბიშვილიც.

სამწუხაროდ, როგორც ყველაფერს, ამ კავშირსაც აქვს თავისი „მაგრამ“...

ირაკლი ოქრუაშვილის პარტიისგან განსხვავებით, ნინო ბურჯანაძის პარტია (თქვენ წარმოიდგინეთ და „კონსერვატორებიც“ კი), პარტიული სტრუქტურის ნებისმიერ დონეზე, ანუ ცენტრალური აპარატი იქნება ეს, თუ რეგიონული ორგანიზაციები, გაცილებით უფრო გამოცდილი და პოლიტიკურ ბატალიებში გამობრძმედილი (ალბათ მიხვდით, რისი თქმაც მინდა) ხალხისაგან არის დაკომპლექტებული.

აქედან გამომდინარე, სრულიად მოსალოდნელია, რომ „დემოკრატიულ ფრონტში“ ოქრუაშვილის გუნდი ბურჯანაძის გუნდმა ელემენტარულად „გადაყლაპოს“ („მოქალაქეთა კავშირში“ იყო მსგავსი მაგალითები).

ეს კი ნამდვილად მიუღებელი იქნება პარტია „ერთიანი საქართველოს“ წევრთა მეორე ფლანგის, ანუ „შემსრულებელთათვის“.

ასეთი „საშიშროება“ ნამდვილად არა აქვთ „ალიანსის“ წევრებს, რადგანაც იქ ძალთა თანაფარდობა ფაქტობრივად ერთნაირია (ეგ კი არა და, როგორც „ბოროტი ენები“ ამბობენ, ალიანსის შემადგენელი ყველა სუბიექტი, საკუთარ თავს თვლის დომინანტად და თავად აპირებს სხვის „გადაყლაპვას“).

ბევრი რომ არ გავაგრძელო, წინ „კაი სუფრები“ და „ჭორაობები“ (განშორების შემთხვევაში, თუ ვინ იყო „დამნაშავე“) გველოდება.

წინ კიდევ 7 ნოემბერიცაა (ქართული პოლიტიკის კიდევ ერთი უცნაურობა — ნუმეროლოგიის მიმართ „თაყვანისცემა“).

დღემდე არ მესმის რატომ უნდა დაიწყოს აქციები ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნით 7 ნოემბერს და არა 26 სექტემბერს.

რა 26 სექტემბერი რით იყო ცუდი? თუ ვთქვათ 10 ოქტომბერს არ გვინდოდა სააკაშვილის გადაყენება და 7 ნოემბერს მოგვინდება?

არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი.

იქნებ ახლა გავიგო?

ზემოთ დახაზული „გენიალოგიური ხის“ განახლებულ ვარიანტს, კი ალბათ მალე შემოგთავაზებთ.

**გია გაბრიჭიძე**

განსჯა



***რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან მოსკოვთან დაახლოების მცდელობას, რას შეიძლება ველოდოთ მოსკოვის ნებართვით თბილისის სოხუმთან და ცხინვალთან დაახლოებისაგან, ასევე იმაზე, თუ რა პროცესებთან გვქონდა საქმე 2007 წლის 7 ნოემბერს, „ინტერპრესნიუსი“ ფილოსოფოსს, პოლიტოლოგსა და სამხედრო ექსპერტ კახა კაციტაძეს ესაუბრა.***

# „ვიდრე არ გავიაზრებთ, რომ ქართული სახელმწიფო არ შემდგარა, არაფერი გამოვა“

**— ბატონო კახა, რამდენად შედეგიანი შეიძლება აღმოჩნდეს ქართული პოლიტიკური წრეების მოსკოვთან დაახლოების მცდელობა, როცა რუსეთ-საქართველოს შორის ვითარება დაძაბულია და დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობს?**

— კრიზისული ვითარების მიუხედავად, ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის რაღაც ტიპის ურთიერთობები, თუ გნებავთ კონფიდენციალური, უნდა არსებობდეს. ეგვიპტე და ისრაელი მაშინაც კი ურთიერთობდნენ, კონფიდენციალურ დონეზე როცა ერთმანეთის ტერიტორიები ჰქონდათ ოკუპირებული. კონფიდენციალური კავშირები საქმის ცოდნით უნდა არსებობდეს.

ჩვენს შემთხვევაში არ მომწონს, რომ მოსკოვთან ურთიერთობების საკითხმა პიარის სახე მიიღო. კონკრეტულად არავის ვგულისხმობ, მაგრამ მიუღებელია, როცა ვიღაც გამოხტება და განაცხადებს, რომ ჩავა მოსკოვში და კონფლიქტებს მოაგვარებს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები ურთულესი პრობლემაა, რომლის შექმნაში სააკაშვილმა ლომის წილი შეიტანა, მაგრამ, მოდით, ყველაფერს ამას მხოლოდ სააკაშვილს ნუ დავაბრალებთ. ამ პრობლემის წყარო იყო როგორც რუსეთში, ისე — საქართველოში. პრობლემებს უპირველესად რუსეთი ქმნიდა, მაგრამ მათზე საქართველო ხშირ შემთხვევაში ადეკვატურად არ რეაგირებდა. ახლა კი, ჩემი აზრით, ამ პრობლემამ პირადი გაპიარების ხასიათი მიიღო.

რაც შეეხება კონტაქტების აუცილებლობას, მიმაჩნია, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის კონფიდენციალური კონტაქტები სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა არსებობდეს. კონფიდენციალურობის დაცვა მნიშვნელოვანი მომენტია. აბა, რა გამოვა იმ საქმისგან, როცა კაცი მთელ ქვეყანას მოსდებს, საქმის გასაკეთებლად მოსკოვში მივდივარო. ისრაელსა და ეგვიპტეს შორის კემპ-დევიდის მოლაპარაკებები წარმატებულად იმიტომ დასრულდა, რომ არც ერთ მხარეს ტელევიზიით არ დაუწყია ყვირილი, მაგარი ვარ და მოლაპარაკებებს ვაწარმოებო. მე მჯერა პრინციპის — მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერს.

**— ფაქტია, რომ ნოღაიდელი შეეცადა მოსკოვის პოლიტიკურ წრეებთან კონტაქტების ღიად დამყარებას. მოსკოვიდან მთავარი პოლიტიკური მესიჯების სახით საქართველოს მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების შანსის არსებობის ფრთხილი ოპტიმიზმი და იმის რწმენა ჩამოიტანა, რომ მოსკოვსა და თბილისს შორის დიალოგის პარალელურად კრემლი თბილისი-სოხუმისა და თბილისი-ცხინვალის დაახლოებას ხელს არ შეუშლის. რამდენად სერიოზულად შეიძლება აღვიქვათ ეს ორივე პოზიცია?**

— მე არ მესმის, ამ ორივე მესიჯში ახალი რა არის? ის, რომ მეტყევების გათავისუფლებას რუსეთი ხელს არ შეუშლიდა, ნოღაიდელს რომ არ ეთქვა, საქართველო ვერ გაიგებდა? ამაში ახალი არაფერია. მე პირადად, ბატონ ნოღაიდელის წინააღმდეგ ან პერსონიფიცირებისგან შორსა ვარ. უბრალოდ, ვამბობ, საქართველოს რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაცია ორ რამეს უნდა ემყარებოდეს: პირველი, საქართველომ, ქართულმა პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა უნდა გაიაზროს, რა გვინდა რუსეთისგან, მეორე რუსულმა უნდა გაიაზროს, რა უნდა საქართველოსგან.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## ვინ მფარველობს „ბლოკ ჯორჯიას“?

**„ქრისტიან-დემოკრატები“ ჰოსპიტალურ სექტორში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, პარლამენტში კომპანია „ბლოკ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობის დაბარებას მოითხოვენ.**

**როგორც პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ფრაქციის წევრმა მაგდა ანიკაშვილმა განაცხადა, საავადმყოფოებში საშინელი ანტისანიტარიაა, ასევე, კომპანიის მხრიდან ჰოსპიტალურ სექტორში ირღვევა ექიმებისა და პაციენტების უფლებები.**

**ანიკაშვილის თქმით, კომპანიას ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ვალდებულება არ შეუსრულებია და დეპუტატი ინტერესდება, ვინ მფარველობს „ბლოკ ჯორჯიას“, რომ კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას მთავრობა არ აუქმებს.**

**დეპუტატის განცხადებით, ფრაქცია ეკონომიკის მინისტრთან პირველ შეხვედრაზე კომპანიისთვის ხელშეკრულების გაუქმების საკითხს კატეგორილად დააყენებს.**

**— საავადმყოფოებში საშინელი ანტისანიტარიაა, ელემენტარულ სტანდარტებზეც არ არის საუბარი. ჯანმრთელი ადამიანის შესვლაც კი სახიფათოა ჰოსპიტალებში, არათუ ავადმყოფი ადამიანების. კომპანია უგნურ პოლიტიკას ატარებს. მიგვაჩნია, რომ ეს კომპანია არ არის უფლებამოსისილი რაიმე გამოასწოროს, — აღნიშნა ანიკაშვილმა.**

**ამასთან, ანიკაშვილი მოუწოდებს კომპანიის ხელმძღვანელობას, რომ პარლამენტისადმი გამოიჩინონ პატივისცემა და გამოავლინონ თანამშრომლობის სურვილი და კონსტრუქციული დამოკიდებულება, რაც მათ ინტერესებში უნდა იყოს.**

**„ექსპრესნიუსი“**

ვითარება

# ვის დასვამს კრემლი ამჯერად აფხაზეთის „პრეზიდენტად“, 12 დეკემბერს გახდება ცნობილი

**აფხაზეთის დე ფაქტო საარჩევნო კომისიაში „პრეზიდენტობის“ კანდიდატების წარდგენის პროცესი დასრულდა, მათი რეგისტრაცია კი 12 ნოემბერს დასრულდება. როგორც ცნობილია, დე ფაქტო პრეზიდენტის ე.წ. არჩევნები 12 დეკემბერს გაიმართება.**

პრეზიდენტობის სურვილი 5 კანდიდატს აქვს გამოთქმული. მათ შორისაა მოქმედი დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში, რომლის კანდიდატურა „მმართველმა“ პარტიამ „ედინაია აფხაზიამ“ წარადგინა. ბაღაფში 60 წლისაა. 1972 წელს მან საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტი დაამთავრა აგრონომის სპეციალობით. ბაღაფში პრეზიდენტად 2005 წლის 12 იანვარს აირჩიეს.

პრეზიდენტობისთვის კენჭს იყრის ასევე ყოფილი დე ფაქტო ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, რომელიც საინიციატივო ჯგუფმა წარადგინა. აღსანიშნავია, რომ 2005 წლის არჩევნებზე ის ვიცე-პრეზიდენტად ბაღაფშმა დაასახელა, რომელიც ერთ დროს მისი მოწინააღმდეგე იყო. იმ დროს ხაჯიმბას მხარს ექსპრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა უჭერდა. არჩევნების დასრულების შემდეგ ხაჯიმბა შედეგებს არ დაეთანხმა და მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი გამართა. მოლაპარაკებების შედეგად ბაღაფშმა მას ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა უბოძა. 51 წლის ხაჯიმბამ თანამდებობა მაისში დატოვა და ხელისუფლების კრიტიკა დაიწყო. მალევე მან განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებდა.

კიდევ ერთი კანდიდატია ოპოზიციონერი ბესლან ბუთბა, რომელიც მისმა „ეკონომიკური განვითარების პარტიამ“ წარადგინა. ანალიტიკოსების აზრით, მას არჩევნებზე მცირე შანსები აქვს, რამდენადაც ბუთბას პარტია ანტირუსული კურსის მხარდამჭერია.

საინიციატივო ჯგუფის მიერაა წარდგენილი კიდევ ერთი კანდიდატი – მეცნიერებათა დოქტორი ვიტალი ბგანბა. 54 წლის უპარტიო კანდიდატი რუსეთში გამოცემული ნაშრომის – „სოციალური ეკოლოგიის“ ავტორია.

პრეზიდენტობის მეხუთე კანდიდატია დე ფაქტო სახელმწიფო კომპანიის „აფხაზეთის საზღვაო მიმოსვლის“ ხელმძღვანელი, 59 წლის ზაურ არძინბა. აღსანიშნავია, რომ იგი 1994 წლიდან ამ სახელმწიფო კომპანიის უცვლელი ხელმძღვანელია.

როგორც „პირველთან“ საუბარში ექსპერტი კავკასიის საკითხებში **მამუკა არეშიძე** აღნიშნავს, ბგანბა არ არის ისეთი ფიგურა, რომელმაც შეიძლება, საპრეზიდენტო არჩევნებზე რაიმე გავლენა იქონიოს. „მიუხედავად იმისა, რომ იგი ინტელიგენციის წარმომადგენელია და აფხაზეთში ცნობილი პიროვნებაა, ის პოლიტიკოსი არ არის. აქედან გამომდინარე, ის საინიციატივო ჯგუფმა წარადგინა და არა რომელიმე პოლიტიკურმა წრემ. რაც შეეხება რეალურ კანდიდატს, ეს ბაღაფშია. მიუხედავად იმისა, რომ ანალიტიკოსთა ნაწილის აზრით, ხაჯიმბაც შეიძლება, სერიოზული კანდიდატი იყოს, ვთვლი, რომ ბაღაფშისთვის ის სერიოზული კონკურენტი ვერ იქნება. ამ ეტაპზე არსებულ კანდიდატთაგან ბაღაფშისთვის კონკურენციის გაწევა არავის შეუძლია“, – განაცხადა არეშიძემ. მისივე აზრით, უკვე აფიშირებულ კანდიდატთაგან შედარებით მაღალი რეიტინგი ბესლან ბუთბას აქვს, რომელიც ცნობილია, როგორც ენერგიული ოპოზიციონერი და რომელიც სარგებლობს ვეტერანთა ნაწილის, განსაკუთრებით – მისი ნათესავის ვალმერ ბუთბას მხარდაჭერით“. რაც შეეხება ხაჯიმბას, რომელსაც ბაღაფშის სერიოზულ კონკურენტად მიიჩნევენ, არეშიძის აზრით, ის რეალური კონკურენტი არ არის. ამასთან, იგი ყურადღებას იმ გარემოებაზე ამახვილებს, რომ თავად ბაღაფშის მიმართაც არსებობს სერიოზული პრეტენზიები. „კერძოდ, მის წინააღმდეგ გამოდის აფხაზური ოპოზიცია, რომელიც ძირითად არგუმენტად ეკონომიკური განვითარების კონცეფციის არარსებობას ასახელებს. გარდა ამისა, აფხაზეთში ბაღაფშს იმის გამოც აკრიტიკებენ, რომ რუსეთს ბევრი სტრატეგიული ობიექტი გადასცა. უკმაყოფილებას იწვევს ასევე რესპუბლიკაში გამეფებული უკანონობა, ადამიანის უფლებათა დარღვევები. საბოლოო ჯამში, ვინ იქნება პრეზიდენტი, კრემლში გადაწყდება“, – დასძინა მან.




კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** ასევე თვლის, რომ მოქმედ დე ფაქტო პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშს კონკურენტი არ ჰყავს. „ის ამ დროისთვის საკმაოდ რეიტინგული პოლიტიკოსია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება მისი პრეზიდენტობის დროს მოხდა. რაც შეეხება გალის მოსახლეობის ხმებს, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მათ დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება“, – განუცხადა „პირველს“ ზაქარეიშვილმა.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე **გიორგი ბარამია** აფხაზეთში 12 დეკემბრისთვის დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებს რუსეთის მიერ დადგმულ მორიგ სპექტაკლად აფასებს და აცხადებს, რომ აფხაზეთში ჩატარებული ნებისმიერი არჩევნები უკანონოა და მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის არის განკუთვნილი. „რუსეთი ამ არჩევნებით საერთაშორისო ასპარეზზე აფხაზეთის ე.წ დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას ცდილობს. კრემლის ეს მცდელობაც განწირულია. საერთაშორისო საზოგადოება არასოდეს სცნობს სეპარატისტული აფხაზეთის დამოუკიდებლობას, რადგან იგი საერთაშორისო სამართლის ნორმებს პრინციპულად ეწინააღმდეგება. რუსეთის სახით საქართველოში შემოჭრილია „შავი ჭირი“ და დროა, საერთაშორისო თანამეგობრობამ შეიმუშავოს ახალი ვაქცინა, რათა მოახდინოს მისი პარალიზება და რუსეთის საოკუპაციო ჯარების საბოლოო განდევნა საქართველოს ტერიტორიიდან“ – აცხადებს ბარამია, რომლის აზრით, 12 დეკემბრის არჩევნები მნიშვნელოვანწილად არაფერს შეცვლის და სეპარატისტული აფხაზეთის მომავალი ე.წ. პრეზიდენტიც კრემლის მიერ იქნება დასმული.

რაც შეეხება პრეზიდენტობის რეალურ კანდიდატებს, მისი ინფორმაციით, კრემლს ორი ფავორიტი ჰყავს – სერგეი ბაღაფში და რაულ ხაჯიმბა. „ისინი პრორუსული მხარდაჭერით სარგებლობენ, თუმცა აფხაზი ეთნოსი კარგად ხედავს იმ პოლიტიკურ ფონს, რომელიც რეალურად არის შექმნილი, – რომ რუსები აფხაზებს ფაქტობრივად არაფერს ეკითხებიან. შესაბამისად, ორივე კანდიდატი კრემლის მიერ იქნება მართული და ვინც უფრო გაიზიარებს კრემლის პოზიციას და მომავალ გეგმებს, ის იქნება დანიშნული. კრემლს სურს, ეს ყოველივე დემოკრატიის მანტიით შეფუთოს და საერთაშორისო თანამეგობრობას ცრუ ინფორმაცია მიაწოდოს, თითქოსდა აფხაზეთში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება. ნათელია, რომ აფხაზებს რუსების ხელში მომავალი არ ექნებათ და საბოლოოდ გადაშენდებიან. ჩვენ მზად ვართ, კიდევ ერთხელ გავუწოდოთ მათ დახმარების ხელი“, – აცხადებს ბარამია.

თავის მხრივ, ევროკავშირის სპეციალური წარომადგენლის სამხრეთ კავკასიაში **პიტერ სემნების** განცხადებით, აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები „არ ტარდება იმ კონსტიტუციური ნორმების ფარგლებში, რომლებსაც ევროკავშირი აღიარებს“. „ევროკავშირის პოლიტიკა ორი ნაწილისგან შედგება: ერთის მხრივ, ესაა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არაღიარება, მეორეა მხრივ კი, ყველა მხარესთან ერთგვარი კონტაქტების დამყარება. არჩევნები პოლიტიკური პროცესია, რომელსაც ჩვენთვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენ დაინტერესებულები ვართ, რომ ჩვენმა თანამოსაუბრეებმა აფხაზეთში რეალურად აფხაზების ინტერესები გაატარონ და არა მხოლოდ პირადი. ჩვენ პარტნიორებით ნებისმიერ შემთხვევაში ვართ დაინტერესებულები“, – განაცხადა სემნებიმ, რომლის აზრით, „ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი დაპირისპირებულ მხარეებს შორის სხვადასხვა დონეზე კონტაქტების დამყარებაა“. ამ კონტაქტებმა შეიძლება, უფრო ნაყოფიერ დისკუსიამდე მიგვიყვანოს, მათ შორის – იურიდიული საკითხების კუთხით, მაგრამ აქამდე, როგორც ჩანს, შორია. ახლა მთავარი სწორედ ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარებაა და ჩვენ ურთიერთობა სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ, – აღნიშნა სემნებიმ.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის „პრეზიდენტად აირჩევა 35-დან 65-წლამდე ასაკის „აფხაზეთის რესპუბლიკის“ მოქალაქე, ეროვნებით აფხაზი, რომელიც თავისუფლად ფლობს სახელმწიფო ენას, სარგებლობს საარჩევნო უფლებით, არანაკლებ ბოლო 5 წლისა ცხოვრობს აფხაზეთის ტერიტორიაზე. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 5 წლით. ერთი და იგივე პირის პრეზიდენტად არჩევა დასაშვებია მხოლოდ ორი ვადით. პრეზიდენტთან ერთად აირჩევა ვიცე-პრეზიდენტიც, რომლის კანდიდატურასაც დე ფაქტო პრეზიდენტი ასახელებს.

ვის დასვამს კრემლი ამჯერად აფხაზეთის პრეზიდენტად, 12 დეკემბერს გახდება ცნობილი.

**ლევან ჭითანავა**

განსჯა

# „ვიდრე არ გავიაზრებთ, რომ ქართული სახელმწიფო არ შემდგარა, არაფერი გამოვა“

(მესამე გვერდიდან)

ლაპარაკი იმაზე, თითქოს რუსეთმა საქართველო იმიტომ დასაჯა, რომ საქართველოს ნატოში შესვლა უნდოდაო, ეს, მაპატიეთ, მაგრამ ბოდვაა. ბოდვაა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ 1992-1993 წლებში საქართველოში, ირაკლი წერეთლის გარდა, ნატოში შესვლას არავინ ფიქრობდა, მაგრამ რუსეთმა აფხაზეთში ის გააკეთა, რაც გააკეთა. მოლდოვეთმა კონსტიტუციაში ჩაწერა, რომ ნეიტრალური იქნება, მაგრამ დნესტრისპირეთის პრობლემა რუსეთს არ მოუგვარებია. ფაქტია, რომ მოლდოვაში დაძაბულობის ხარისხი ისეთი მაღალი, როგორც ჩვენთან, არ ყოფილა. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ვითარების ესკალაციაში საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ თავისი წვლილი შეიტანა, ძირითადი პასუხიმგებლობა რუსეთს ეკისრება. მეორეა ის, რომ მოლდოვას რუსეთი არ ესაზღვრება, ჩვენ კი – გვესაზღვრება.

**– რამდენად სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს ქართული სახელმწიფოსთვის მოსკოვი-თბილისის დიალოგის პარალელურად, თბილისი-სოხუმისა და თბილისი-ცხინვალის დაახლოებისთვის მოსკოვის მხრიდან ხელის არშეშლა?**

– ფაქტია, რომ ქართული სახელმწიფო ჯერ არ შემდგარა. ის, რომ სააკაშვილი ზღაპრებს გვიყვება, თითქოს საქართველო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაგალითად ბულგარეთსა და რუმინეთში ლიდერია, ამას სერიოზული ადამიანები სერიოზულად არ აღიქვამენ. უნდა გავარკვიოთ, რა ტიპის სახელმწიფო იქნება საქართველო. ირაკლი შენგელაიას გარდა, ამ თემისთვის სერიოზული, კონცეპტუალური სტატია არავის მიუძღვნია. მესმის, რომ ძალიან ბევრი თემა სადისკუსიოა, მაგრამ არის საკითხები, რომლებზეც საზოგადოებრივი კონსენსუსი უნდა შედგეს.

ჩემი აზრით, ჩვენ მეთოდოლოგიურ შეცდომას ვუშვებთ, თითქოს ქართული სახელმწიფოს არსებობა ფაქტია და ახლა ვიწყებთ დეტალებისა და პრობლემების გადაწყვეტას. საქართველოს ჩამოყალიბების პროცესის პარალელურად უნდა მიდიოდეს საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეინტეგრაციის პროცესი, რაზეც ჩვენ ხელისუფლება, მაპატიეთ და, „გვაბოლებს“, არ მჯერა. ხელისუფლება იმასაც კი გვეუბნებოდა, რომ დავით აღმაშენებლის შემდეგ საქართველოს ისეთი ჯარი არ ჰყოლია, როგორც ახლაო, მაგრამ რაც გაირკვა, ყველამ ვნახეთ.

ახლა საქართველოსთვის მთავარია აღმშენებლობის პროცესი და ამ პროცესში აფხაზებისა და ოსების ინტეგრირება. ვიდრე არ გავიაზრებთ, რომ ქართული სახელმწიფო არ შემდგარა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თემები სასხვათაშორისო საკითხები არ არის, არაფერი გამოვა. საკითხისადმი თავად ხელისუფლების მიდგომაა არასწორი. ანუ, ხელისუფლება იმას კი არ ამბობს, დედამიწა მზის ირგვლივ ბრუნავსო, არამედ დაჟინებით ამტკიცებს, მზე ბრუნავს დედამიწის გარშემოო. ვიდრე ხელისუფლებას ამგვარი პოზიცია ექნება, ვერავითარი პოზიტიური ნაბიჯები ვერ გადაიდგმება. ანუ, თავად საკითხის მიდგომაში უნდა მოხდეს გარღვევა და ეს საზოგადოებამ უნდა მოახდინოს, ვგულისხმობ – როგორი უნდა იყოს ქართული სახელმწიფო და როგორი როლი უნდა ჰქონდეს მასში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, როგორი უნდა იყოს რუსეთთან ურთიერთობა და ასე შემდეგ. ვიდრე ამ საკითხების მიმართ საზოგადოების აზროვნებაში გარღვევა არ მოხდება, მანამდე ამ მოჯადოებულ წრეზე ასე უაზროდ ვივლით.

**– რუსი „დემოკრატების“ აზრით, ვიდრე რუსეთს პუტინ-მედვედევის ტანდემი მართავს, საქართველოს საკითხში არაფერი არ შეიცვლება. პუტინის მმართველობის ვერტიკალი იმდენად გაძლიერებულია, რომ რუსეთში ახლო მომავალში სერიოზულ ცვლილებებს არ უნდა ველოდეთ. ასეთ ფონზე, საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკაში რა ცვლილებებია მოსალოდნელი?**

– არავითარ, მოკლევადიან პერსპექტივაში არავითარ ცვლილებებზე საუბარი არ შეიძლება. თუ რუსეთის პოლიტიკურ სისტემაში ძალიან სერიოზული ცვლილებები არ მოხდა, რუსეთ-საქართველოს შორის სრულფასოვან, ნორმალურ, კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე საუბარი არ შეიძლება. კრიზისული ვითარების მიუხედავად, რუსეთსა და საქართველოს ხელისუფლებებს შორის კონტაქტები უნდა არსებობდეს. საუბარი არ არის კონტაქტების განვითარებაზე, არამედ ურთიერთობების მინიმალურ დონის შენარჩუნებაზე. კონტაქტების სრული გაწყვეტა ორივე მხარისთვის წამგებიანი იქნება.

**– ორი წელი სრულდება 2007 წლის 7 ნოემბრის დრამატული მოვლენებიდან. გასაგებია, რომ არც ისე დიდი დროა გასული, მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან რისი თქმა შეიძლება – რა იყო 7 ნოემბერი ოპოზიციისთვის და ხელისუფლებისათვის?**

– ეს იყო შედეგი იმისა, რომ ადამიანებმა, ვინც ხელისუფლებაში იყვნენ და დღესაც არიან, არ იციან, როგორ უნდა მართონ სახელმწიფო. მეტსაც გეტყვით, მათმა უმრავლესობამ საერთოდ არ იცის, რა არის სახელმწიფო. თავდაცვის მინისტრებად იყვნენ ადამიანები, რომელთაგან, ალბათ ბატონ ბეჟუაშვილის გამოკლებით, არც ერთმა არ იცოდა, რა იყო თავდაცვის უწყება; განათლების სამინისტროში არ იცოდნენ, რა არის განათლების სამინისტრო და ასე შემდეგ. 7 ნოემბერი მოვლენებზე და პროცესებზე ხელისუფლების არაადეკვატური რეაქციის შედეგი იყო. საზოგადოების აქტიურობამ უკიდურესად ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლების სახე მიიღო და იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებას პრობლემების მოგვარებაზე ეზრუნა, მან ძალის გამოყენებით სცადა პრობლემების გადაწყვეტა. 8 აგვისტო 7 ნოემბრის რეალური გაგრძელება იყო. რასაკვირველია, თავის წილ პასუხიმგებლობას ვერც ოპოზიცია აიცილებს, მაგრამ ხელისუფლების პასუხიმგებლობასთან შედარებით ოპოზიციის პასუხისმგებლობა სასაცილოც კია.

**კობა ბენდელიანი**

**სამშობლოს განცდა**

# ანაიდა ბესტავაშვილი: ჩემი მთავარი ბედნიერება და სიმდიდრე საქართველოა...

**— თქვენს ცხოვრებაში ქართულ-რუსული მხატვრული თარგმანის პროცესი, ალბათ, ადამიანის უფლებებს ლოგიკურად დაუკავშირდა..**

— თბილისსა და მოსკოვში გატარებულმა მთელმა ჩემმა ახალგაზრდობამ იმ ადამიანების გარემოცვაში გაიარა, რომლებიც საბჭოთა რეჟიმს ებრძოდნენ. ერთი მხრივ, ეს იყო ციხეებსა და გადასახლებებში (7 გაქცევაძ გატანჯული ჭაბუა ამირეჯიბი, მეორე მხრივ — ანდრეი სინიავსკი და იული დანიელი. ამიტომ ჩემი მონაწილეობა უფლებადაცვით მოძრაობაში სავსებით ბუნებრივი იყო. მერე გაჩნდნენ სომეხი დევნილები (სუმგაითი, განჯა, ბაქოძ და აფხაზეთიდან. გაუგონარი ძალადობის მსხვერპლი უძლური ადამიანები, რომლებიც მოსკოვში ყოველგვარი სახელმწიფო დახმარების გარეშე აღმოჩნდნენ, ამიტომ ჩვენ ისეთი ორგანიზაციის შექმნა გადავწყვიტეთ, რომელიც მათ დაეხმარებოდა. დავაარსეთ კიდეც თანადგომის კომიტეტი „გრაჟდანსკოე სოდეისტვიე“, სადაც ლიდია გრაფოვა, ვიქტორია ჩალიკოვა, სვეტლანა განუშკინა გაერთიანდნენ. ჩვენ ვცდილობდით დევნილები თავიანთი ოჯახებით, ჩვილებითა და მოხუცებით დაგვებინავებინა; ვეხმარებოდით დაჭრილებსა და ავადმყოფებს; ვუფორმებდით დოკუმენტებს; ჰუმანიტარული დახმარებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებს მივმართავდით; ვეხმარებოდით იმათ, ვისაც საზღვარგარეთ წასვლა უნდოდათ. ეს იყო ძალიან მძიმე წლები, ჩვენ ცოტანი ვიყავით, დევნილების რაოდენობა კი სულ უფრო და უფრო იმატებდა. ერთ-ერთი ჩემი სტატია ამ თემაზე „ლიტერატურნაია გაზეტაში“ სათაურით „ნუ დაგვიკეტავთ თქვენს კარს“ დაიბეჭდა, მეორე კი – ამერიკულ გაზეთში „ნოვოე რუსკოე სლოვო“. იმათთან, ვინაც ამ მძიმე გამოცდებს გაუძლო და როგორღაც მოეწყო, ახლაც მაქვს ურთიერთობა.

**— იმ წლებში თარგმანისთვის გეცალათ?**

— იმ წლებში, გამოგიტყდებით, ძალიან ცოტას ვთარგმნიდი, უფრო მეტად პუბლიცისტიკით ვიყავი დაკავებული. მქონდა სრული გაწბილება მიხეილ გორბაჩოვის პიროვნებით, მოგვიანებით კი ბორის ელცინის მმართველობითაც (თუმცაღა რუსეთის ფედერაციის ადამიანთა უფლებების დაცვის კომისიაში ვმუშაობდიძ და ასევე, არ ვიზიარებდი ზვიად გამსახურდიას პოლიტიკას. გადავსახლდი ისრაელში, სადაც 4 წელი გავატარე, ვცხოვრობდი იერუსალიმის ძველ ქალაქში და ქრისტიანულ ჭეშმარიტებებს ხელახლა აღმოვაჩენდი. მაგრამ ნოსტალგიამ და ავადმყოფობამ მაიძულა, რომ იერუსალიმი დამეტოვებინა, თუმცა მე იქაც ბევრს ვწერდი, ადგილობრივ და უცხოურ პრესაში ვიბეჭდებოდი.

მოსკოვში დაბრუნებისას, სადაც ჩემი დედა ცხოვრობს, დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რათა საქართველო-რუსეთის კულტურული ხიდები აღმედგინა: კულტურულ ცენტრ „მზიურში“, რომელიც დიდი ხანია აღარ არსებობს, ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე მდებარე სახლ-მემორიალში (ისიც წაგვართვესძ, ლიტერატორების ცენტრალურ სახლში ლიტერატურულ საღამოებს, გამოფენებს, შეხვედრებს ვაწყობდით. ვცდილობდი რუსულ პრესაში ქართული ფილმების ჩვენებები, სტურუასა და გაბრიაძის თეატრის გასტროლები, ქართველი კომპოზიტორებისა და შემსრულებლების კონცერტები გამეშუქებინა. 1962 წლიდან მოყოლებული ქართულ და რუსულ პრესაში ქართული კულტურის შესახებ 200-მდე სტატია გამოვაქვეყნე.



**ანაიდა ბესტავაშვილი და ალექსანდრ გალიჩი.**
**(ა. ბესტავაშვილის საოჯახო არქივიდან. 1976 წლის ზაფხული, მწერალთა სახლი „მალეევკა“).**

**— ამჟამად ლიტერატურის თარგმნის ძველი ტრადიციის წყვეტაა და არა მგონია, ამაში მხოლოდ სსრკ-ის დაშლა იყოს დამნაშავე...**

— ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოში მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, საჭიროა ასეთივე ინსტიტუტის თბილისში გახსნა, სადაც მეცნიერები და მწერლები მომავალ პოეტებს, პროზაიკოსებს, დრამატურგებს, კრიტიკოსებს, ქართული ენიდან ევროპულ ენებზე მთარგმნელებს ასწავლიან და მსოფლიო ლიტერატურასაც ქართულად ასწავლიან. ეს ძვირი არ დაჯდება. მაგალითად, მოსკოვში თითო ჯგუფში 6-7 ადამიანი იქნება, ხოლო მთელს ინსტიტუტში საღამოს, დაუსწრებელ განყოფილებებსა და უმაღლეს კურსებზე — სულ 200 მსმენელი. საქართველოში კი ეს ციფრი უფრო ნაკლებიც შეიძლება იყოს.

**— 2008-ის აგვისტომდე ომის წინათგრძნობა გქონდათ?**

— ყველა ხედავდა, რომ რუსეთში ანტიქართული პროპაგანდა მძვინვარებდა, მაგრამ მაინც, 2008 წლის აგვისტომ შოკში ჩაგვაგდო არ მარტო ქართული, არამედ მსოფლიო საზოგადოება. რუსეთის ცენტრალური ტელევიზიის ყველა არხიდან სიცრუისა და ცილისწამების ნაკადები ინთხეოდა, სიმართლის თქმის მსურველებს კი ერთი წუთიც კი არ ეძლეოდათ. ჩვენ შეგვიძლია თითებზე ჩამოვთვალოთ ის რუსი მოღვაწეები (ანდრეი ილარიონოვი, ვალერია ნოვოდვორსკაია, ვიქტორ შენდეროვიჩი, იულია ლატინინა და სხვებიძ, ვინაც იმპერიის აგრესია, დაპყრობა, ე. წ. „დამოუკიდებელი სახელმწიფოების“ — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის — ოკუპაცია დაგმო. რუსეთის მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა დაიჯერა, რომ პატარა საქართველომ დიდი ომი დაიწყო. არადა ქართულ კულტურასთან რუსული ინტელიგენცია ისტორიულად განუყოფლად იყო დაკავშირებული. ჩვენს დასაცავად, ფაქტობრივად, მხოლოდ ორი წერილი მოვიდა: ეს არის სანკტ-პეტერბურგის ლიტერატორებისა და რუს მწერალ-ემიგრანტების წერილები. მე ამან შემძრა — რადგანაც არ მოველოდი ამას იმ მეგობრებისგან, რომლებიც საქართველოს სტუმრობდნენ; რომლებიც საქართველოში იმ წიგნებს გამოსცემდნენ, მოსკოვი რომ არაფრით გამოუცემდათ; ჩვენს საუკეთესო პოეტებს თარგმნიდნენ... მათ კი არა თუ ალიმაღლეს ხმა ოდესღაც მათთვის აგრერიგად საყვარელი ქვეყნის ოკუპაციის წინააღმდეგ, არამედ ტელეფონის ყურმილიც არ აიღეს, რომ ეკითხათ, ამ ჯოჯოხეთში როგორ გრძნობენ თავს მათი ძველი, ერთგული ქართველი მეგობრები, ისინი, რომლებიც ყოველთვის იყვნენ მზად რუსი მეგობრების დასახმარებლად. ამის შესახებ ხომ ასე ლამაზად წერდა ბელა ახმადულინა ლექსში „Нежность родины чужой“.

**— ოთარ ჭილაძის სიკვდილმაც არ დაარღვია ეს დუმილი?**

— 2009 წლის 1 ოქტომბერს ამ საშინელ დუმილს დიდი ქართველი მწერლის ოთარ ჭილაძის სიკვდილმა დაუსვა წერტილი. გამომეხმაურნენ მოსკოველები, პეტერბურგელები და ისინი, ვინც საზღვარგარეთ ცხოვრობს. 4 დღე წერილებისა და დეპეშების ნაკადი მოდიოდა ბელა ახმადულინასგან, ევგენია სიდოროვასგან, ანდრეი ვოზნესენსკისგან, ევგენი ევტუშენკოსგან, ვლადიმირ ლეონოვიჩისგან, იური რიაშენცევისგან — ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, რადგანაც პუშკინისა და ლერმონტოვის დროიდან ძნელია დაასახელო რუსი პოეტი, რომელიც საქართველოსთან სისხლხორცეულად დაკავშირებული არაა: თავის დროზე ამაზე მოკლედ და ამომწურავად ევგენი ევტუშენკომ დაწერა.

О, Грузия! Нам слезы вытирая,
Ты - русской Музы колыбель, вторая,
О Грузии, забыв неосторожно,
В России бить поэтоь невозможно.

როცა მე ევგენი ევტუშენკოს, რომელიც უკვე დიდი ხანია ამერიკაში ასწავლის, ძლივს დავუკავშირდი და საშინელი ამბავი ვაცნობე, მისი რეაქცია მყისიერი იყო. მან მითხრა: „შენ გადაარჩინე ჩემი სინდისი. მე მაშინ დავდუმდი, მაგრამ თუ მე ახლაც არ ამოვიღებ ხმას, მე ეს არ მეპატიება“. ხოლო ვლადიმირ ლეონოვიჩი დეპეშაში ასე წერდა: „აპატიე, ოთარ, შენს მეგობრებს... აპატიე რუსეთს, ოთარ“.

ვფიქრობ, რომ აგვისტოს ომიდან გასულმა წელიწადმა და ჩემი მეგობრის ოთარ ჭილაძის გარდაცვალებამ გაარღვია დუმილის, წყენისა და უნდობლობის კაშხალი. მინდა დავიჯერო, რომ ჩვენ კვლავ ერთად ვართ და რუსული ინტელიგენცია ამიერიდან ჩუმად არ დააკვირდება, თუ როგორ ანაკუწებენ ნაწილებად მის მეორე სამშობლოს. ალბათ, სწორედ ეს არის ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩემი სევდისა და სიხარულის მიზეზი.

ლამის 50 წლის განმავლობაში მოსკოვში ვცხოვრობ, შევიძინე უამრავი მეგობარი — პოეტები, მწერლები, მთარგმნელები, კრიტიკოსები, თეატრალური და კინომოღვაწეები, მხატვრები. ამ წლების განმავლობაში მეგობრული კავშირები მხოლოდ ერთხელ შეწყდა — 2008 წლის აგვისტოდან 2009 წლის 1 ოქტომბრამდე, მაგრამ არც ერთი წუთით არ შეწყვეტილა ჩემი კავშირები ქართველ მწერლებთან. მე ვკითხულობ მათ ახალ ნაწარმოებებს, ვწერ რეცენზიებს, ვცდილობ, რომ მათ გამოქვეყნებაში დავეხმარო. ისინი ყველანი ჩემთან არიან, ისინიც კი ვინც უდროოდ წავიდა ამ ცხოვრებიდან, როგორც გურამ ასათიანი და აკაკი ვასაძე. ჩემთანაა ყველაფერი, რასაც ისინი წერდნენ და რაც მე ვთარგმნე.

ჩემი მთავარი ბედნიერება და სიმდიდრე საქართველოა, სადაც დავიბადე, გავიზარდე, ვეზიარე ჩვენს ხელოვნებასა და ტრადიციებს, დავუმეგობრდი ამ შესანიშნავი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს. როგორ შემიძლია დავივიწყო ანა კალანდაძე, რომელთან ერთადაც ბევრს ვმუშაობდი მის კრებულზე, რა აზრი ექნებოდა ჩემს ცხოვრებას თენგიზ აბულაძის გარეშე, რომელზეც ასევე ბევრს ვწერდი. უკვე აღარ ვსაუბრობ მხატვრებზე, რომლებიც კვლავ დაუღალავ აღფრთოვანებას იმსახურებენ — ელენე ახვლედიანიდან, ლადო გუდიაშვილიდან დაწყებული, თენგიზ მირზაშვილით, ზურაბ ნიჟარაძით, დიმა ერისთავით დამთავრებული. მე არ შემიძლია ჩვენგან წასულების განცალკევება იმათგან, რომლებიც კვლავ სავსენი არიან ძალითა და შემოქმედებითი ენერგიით, რადგანაც ჩემთვის ისინი ცოცხლები არიან და ისინი არიან საქართველო.

თუ მე ადრე ცალკეული ადამიანის უფლებებს ვიცავდი, ახლა მთელი ქვეყნის, განსაცდელში მყოფი ჩემი ერთადერთი სამშობლოს უფლებების დაცვის დრო დადგა. და მე კვლავ უფლებადამცველად ვრჩები.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ იორკი-მოსკოვი**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 222.**

**პრეზენტაცია**

## „ჩვენ საქართველოს ერთიანობისთვის ვიბრძვით“

**ფონდ „სამოქალაქო განათლების“ განვითარების ეთნიკურ ცენტრში გაიმართა საქართველოს სომეხ ვეტერანთა კავშირის პრეზენტაცია. მოხსენება წაიკითხა ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარემ არნულ დანელიანმა.**

„ექვსი თვეა, რაც კავშირი ჩამოყალიბდა, მისი ძირითადი მიზანია აფხაზეთისა და ცხინვალის ომების ვეტერანთა დახმარება. ჩვენ ვართ საქართველოს მოქალაქე სომეხი ვეტერანები. კავშირის წევრი სომხები გმირულად იბრძოდნენ საქართველოს ერთიანობისთვის. ახლა ბევრ მათგანს ისე ძალიან უჭირს, რომ წამლის ფულიც არა აქვს, ვერ შოულობს სამსახურს, რათა ოჯახი არჩინოს, ზოგიც უსახლკაროდ არის. ჩვენ ვთანამშრომლობთ ვეტერანთა დეპარტამენტთან, რათა ჩვენი ფონდის მეშვეობით ცოტა მაინც შევუმსუბუქოთ მათ მდგომარეობა“ — განაცხადა ა. დანელიანმა.

ვეტერანები სიამაყით აცხადებდნენ, რომ არიან საქართველოს მოქალაქეები, ხელმძღვანელობენ ქართული კანონმდებლობით. ბევრი მათგანი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებში მიღებული ტრამვების გამო შრომის უუნაროა, სახელმწიფოსგან კი მხოლოდ 114 ლარს იღებს პენსიის სახით.

**ედუარდ ხუდოიანი, აფხაზეთის ომის ვეტერანი:** „1990-იან წლებში ვიყავი საქართველოს შეიარაღებული ძალების მეთერთმეტე ბრიგადის არტილერიის უფროსი ლეიტენანტი. მაქვს 28 ჭრილობა, აღარ ვმუშაობ და ჩემი ძირითადი შემოსავალი 114 ლარი პენსიაა. მყავს სამი შვილი და ერთი შვილიშვილი, რომელთა რჩენაც ამ თანხით შეუძლებელია. ჩვენი კავშირისთვის უმთავრესია, რომ გმირები, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ ქვეყნის გადასარჩენად, ისევე იყვნენ დაფასებული, როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეები. გულსატკენია: ადრე ვიყავი ბატონი ლეიტენანტი, ეხლა — უბრალოდ, სომეხია. მთელი საქართველოს შვილებზე ვზრუნავდი, ლტოლვილები გამომყავდა აფხაზეთიდან. და დღეს ჩემი შვილების შენახვა არ შემიძლია...

**— სახელმწიფოსგან არანაირი დახმარება არ მიგიღიათ?**

— არანაირი, ჩემმა მშობლებმა სახლი გაყიდეს და ოპერაცია ისე გავიკეთე. ახლა მეგობრის ბინაში ვცხოვრობ...

პრეზენტაციას ესწრებოდნენ სომეხი ეროვნების ახალგაზრდები, რომლებიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ცხინვალში იბრძოდნენ, სწავლის დამთავრების შემდეგ სურვილი აქვთ, შევიდნენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

**გევორქ იაგუტოვი:** „ჩვენი კავშირი, უპირველეს ყოვლისა, არის სომეხი ვეტერანების გაერთიანება, როცა რამეს გაიგებენ ნაომარ სომხებზე, ქართველებს ბაგრამიანის ბატალიონის დროინდელი ასოციაცია აქვთ. გვინდა ყველამ გაიგოს, რომ ძალიან ბევრი სომეხი ვაჟკაცი იბრძოდა ქართველების მხარდამხარ. ბევრი ბრძოლაში დაეცა. თუ უფალმა მოგვცა ძალა, კიდევ უფრო მეტს გავაკეთებთ, ჩვენი საქართველოსთვის“.

დამსწრენი დალოცა სურბ გევორქის ეკლესიის წინამძღოლმა მამა ნარეკიმ.

**თინათინ ბორცვაძე**

**ინფორმაცია**

## დიდთოვლობა ჯერჯერობით საფრთხეს არ ქმნის

**დიდთოვლობის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა კვლავ აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით დასაშვებია. რაც შეეხება მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტს, მისი მოძრაობა თავისუფალია. ასევე გზის დანარჩენ მონაკვეთებში ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.**

**კოკისპირული წვიმების შედეგად, თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის საზღვარი) საავტომობილო გზის 131-132 კმ-ებზე, კაბალისა და ალაზნის მდინარეების ადიდების შედეგად, გზის სავალი ნაწილი დაიტბორა, რის გამოც აღნიშნულ მონაკვეთზე მხოლოდ მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტის მოძრაობაა დასაშვები, დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. გზის დანარჩენ მონაკვეთებზე ტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.**

**დიდთოვლობის გამო, ჟინვალი-ბარისახო-შატილის საგზაო გზის 66-106 კმ-ებზე დასაშვებია მხოლოდ მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო დანარჩენი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.**

**ამასთან, დიდთოვლობის გამო, ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზის ლეჩური-ომალოს მონაკვეთზე (9-72 კმ-ები) ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. ხოლო ფშაველი-ლეჩურის მონაკვეთზე (1-9 კმ-ები) ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.**

„ექსპრესნიუსი“

## ◉ სასკოლო რეფორმა

***იმ რეფორმათა შორის, რომელთა წყალობითაც მსოფლიო აღიარება მოვიპოვეთ, ყველაზე გამორჩეული მაინც სასკოლო რეფორმა გახლავთ. მართალია მის განხორციელებას ჩვენი გამორჩეული მინისტრების უგამორჩეულესი ენერგია, ცოდნა და გამოცდილება (იმათგან ზოგი გაეროში დააწინაურეს), აგრეთვე, მოსწავლეთა მშობლების დიდძალი საოჯახო სახსრები და მოთმინება შეეწირა, მაგრამ რეფორმამ ქვეყანაში ინტელექტის იმხელა მარაგი დააგროვა, რომ დანახარჯი მონაპოვარს მუხლებამდეც ვერ შესწვდება.***

***ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბოლო წლებში საქართველოში იმდენი სასკოლო სახელმძღვანელო (ძირითადი თუ ალტერნატიული) დაგროვდა, ბარე ხუთ ევროპულ ქვეყანას ეყოფა. ახლა წონას, ფორმატის სიგრძე-სიგანესა და მოხატულ-მოკაზმულობას არ იკითხავთ? ზოგი წიგნი იმსიმძიმეა, ქვეშ თუ მოგიყოლათ, თავის გაჩეჩქვას თუ არა, ფეხის მოტეხვას მაინც ვერ გადაურჩებით.***

# წიგნებს მოჯამაგირე უზიდებს!



— შენ ხუმრობ და ახლა მე მკითხე რა დღეში ვარ, — მეუბნება უმცროსი კოლეგა, — მაგ წიგნების თრევამ მეორეკლასელი ბიჭი ლამის დამიკუზიანოს.

— მეორეკლასელს განა მაგდენი რა წიგნები დააქვს? — მიკვირს.

— როგორ თუ რა დააქვს. წელს მაგის წიგნებმა, რვეულებმა და ჩანთამ უკვე 150 ლარი შეიტყაპუნა. ფული აღარ დამრჩა, თორემ მოჯამაგირეს ავიყვანდი.

— მოჯამაგირე რიღასთვის გჭირდება?

— ბავშვს სკოლაში წიგნებს ის უტარებს და ბიჭი წელში გასწორდება. ჩემი მეზობელი ვაჟიკო, რომელიც პრეზიდენტის კანცელარიაში მუშაობს, მაგალითად, ასე მოიქცა და დიდად კმაყოფილიც დარჩა. მეორე მეზობელმაც ამ საქმისთვის ტაქსი დაიქირავა. მე, შენ კი იცი, არც ერთის თავი მაქვს და არც მეორესი.

სიმართლე გითხრათ, კოლეგის ნათქვამმა კაი გვარიანად ჩამაფიქრა. ფიქრი, რა თქმა უნდა, მაშინვე შვილიშვილებს გადასწვდა, რომლებსაც შინ მისვლისთანავე გამოველაპარაკე.

— შენ, ვაჟკაც, — ვეუბნები მეათეკლასელ ოთიკოს, — აბა ერთი ამიხსენი როგორ ახერხებ სკოლაში ასე მსუბუქად სიარულს?

— რატომ მეკითხები? — დაინტერესდა.

— აი, მეორეკლასელ ლექსოს, მაგალითად, იმდენი წიგნი აქვს, თურმე ჩანთაში ველარ ეტევა, შენ კი...

— მე რა, მეტევა და არ ვაწყობ? იმდენი წიგნი დამიგროვდა, ხუთი ჩანთაც ვერ აუთავდება. ყველა თუ სკოლაში ვატარე, რამდენი გზობის გაკეთება დამჭირდება, კაცი ვერ დაითვლის და გაკვეთილებს როგორღა დავესწრები?

— აბა, შენ როგორ იქცევი?

— მე რეფორმის კვალობაზე უნარ-ჩვევები გამოვიმუშავე, წელში ნაადრევად რომ არ მოვიხარო და წიგნებიც სალსალამათად შევინახო, ყოველდღიურად სათითაოდ დამაქვს.

— შაყიროზ, ბიჭო? ეჰ, რა დრო მოვიდა, — ჩავილაპარაკე, — წიგნები შინ უყრიათ და არ დააქვთ. ადრე მოსწავლეს ჩანთაში ორი წიგნი თუ ედო, თავი ყეინი ეგონა.

— მაშინ სხვა დრო იყო, ახლა სხვა პონტია, პაპიი!

— რაო, პონტიო? — შევიშმუშნე.

— ჰო, რეფორმაზე გეუბნები, სწრაფად რომ ჩატარდეს, რაც შეიძლება მეტი წიგნი უნდა იქონიო სახლში და არა კლასში, როგორც ეს ადრე იყო.

— ასეთი წიგნები? — მეღიმება, — მაგრად კი მოუხატავთ, მაგრამ ყდები ასეთი სიფრიფანა რატომა აქვს?

— მალე რომ დაიხეს და მეორედ საყიდელი გახდეს, — საუბარში ერთვება რძალი.

— ეგ ვიღამ გითხრა? — შევეჭვდი.

— ვინა და რეფორმამ. ბავშვის ცნობიერება რომ არ დაკონსერვდეს, წიგნები ხშირ-ხშირად უნდა იცვალოს.

— მერე ფული? აი, ისტორიის წიგნში, მაგალითად, რამდენი მიეცი?

— 18 ლარი, ინგლისურში კი 28 გადავიხადე.

— ფასი რომ არ აწერია? ასე ძვირი რატომ ღირს წიგნები, განათლების სამინისტროში არ გაგირკვევიათ?

— როგორ არა, ვიყავით მშობლები, განცხადებაც დავუტოვეთ, მაგრამ იცი რა გვიპასუხეს?

— რაო, რით იმართლეს თავი?

— ახლა, ჩემო ბატონო, ფასს პურსაც აღარ ადებენ და წიგნს ვინ დააწერსო. სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკის მართვაში ვერ ჩაერევა, გამომცემლობები კი კერძოა და როგორც მოეპრიანებათ, წიგნს იმ ფასად გაყიდიანო.

— აა, ესეც რეფორმის პონტიაო? (უცებ ავითვისე ეს სიტყვაძ. მაშინ ყველაფერი გასაგებია, ჩემო ბატონო.

— ასეა, ბევრ სახელმძღვანელოს თან რვეული და ატლასიც მოჰყვება, რომლებიც წიგნზე არანაკლები ღირს. წელს მარტო მარიამის წიგნები, რვეულები და ატლასები 190 ლარზე მეტი დაჯდა.

— ამდენი ფული გქონდა კი?

— გაზქურის საყიდლად რომ ვაგროვებდით, იქიდან გავხარჯე.

— ეჰ, ეტყობა, ამ ზამთარსაც ვიკანკალებთ, — დავნაღვლიანდი.

— ასეა, ბატონო, თუ რეფორმა გვინდა, სიცივეს არ უნდა შევუშინდეთ. ძველი დრო ხომ არ არის, უმცროსმა ძმამ უფროსის წიგნით ისწავლოს. ახლა ალტერნატიული სწავლებაა, უამრავი წიგნი უნდა იყიდო და იქიდან სასურველს თვითონ მასწავლებელი შეარჩევს.

— ეგ როგორ, კაცო, — შევიცხადე, — სხვადასხვა მასწავლებელი მოსწავლეებს სხვადასხვა სახელმძღვანელოთი ასწავლის? ამან ხომ შეიძლება პედაგოგიკაში გაუგებრობები გამოიწვიოს და მოსწავლე გზიდან ააცდინოს?

— ეს დღეს მასწავლებლებს სულაც არ აღელვებთ, — მიხსნის რძალი, — პირიქით, ბევრს სტიმულსაც აძლევს — ჩამორჩენილებს დამატებით საათებს გამოუყოფს და მეტ ანაზღაურებას მიიღებს.

— ეს ყველაფერი და ისიც, რომ ბევრმა მშობელმა უსახსრობის გამო შვილებს წიგნები ვერ შეუძინა, განათლების მინისტრმა თუ იცის?

— იცის რომელია, რეფორმას ხომ თავად უძღვება? ახლანდელი მინისტრი წინამორბედზე გაცილებით ოპტიმისტია, ამბობს — ოპოზიციამ თუ დამაცადა და არ ჩამომაგდო, რეფორმას ვადაზე ადრე დავასრულებო.

— ღმერთო, როგორმე დაგვამთავრებინე, — შევთხოვე უფალს.

**ოთარ ხუციშვილი**

## ◉ ინფორმაცია

### გავხსნათ თუ არა ლარსის საბაჟო

**„ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი ნიკა ლალიაშვილი ლარსის საბაჟო გამშვები პუნქტის გახსნასთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოს მოწვევას მოითხოვს.**

**როგორც პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ლალიაშვილმა განაცხადა, იმ ფონზე, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში გამწვავებულია ვითარება, ლარსის გამშვები პუნქტის გახსნა მიზანშეწონილი არ არის.**

**მისი შეფასებით, ხელისუფლება სერიოზულად უნდა მოეკიდოს აღნიშნულ საკითხს, მოიწვიოს უშიშროების საბჭო და აღნიშნული საკითხი სამუშაო ვითარებაში გადაწყვიტოს.**

**— ლარსის გამშვები პუნქტის გახსნა დიდი საფრთხის შემცველია, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამის შესახებ ჩამოყალიბებული გადაწყვეტილება არსებობს. ლარსის გამშვები პუნქტის გახსნით ყაზბეგს დიდი შანსი მიეცემა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ადგილობრივი მოსახლეობაც ისარგებლებს ამით, თუმცა ეს საკითხი საფრთხის შემცველია. ჩრდილო-კავკასიაში მწვავე პროცესები მიმდინარეობს და საქართველოს ტერიტორიაზე თავშესაფრის მიზნით, შესაძლოა, ჩრდილოეთ-კავკასიიდან შეიარაღებული ჯგუფების შემოღწევა მოხდეს. საკითხის ასე ერთბაშად და ხელაღებით გადაწყვეტა არ შეიძლება. ხელისუფლებამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა არა სატელევიზიო შოუს რეჟიმში, არამედ სამუშაო რეჟიმში, შეკრიბოს უშიშროების საბჭო და გადაწყვიტოს აღნიშნული საკითხი, — განაცხადა ლალიაშვილმა.**

### გზა გაპყავთ, ფულს არ უხდიან

**„გზამშენი 11“-ის ცენტრალურ ოფისთან, კომპანიის თანამშრომლებმა შიმშილობის აქცია დაიწყეს.**

**როგორც პროფესიული კავშირების გაერთიანების პრესსამსახურიდან იტყობინებიან გზის მშენებლები — კომპანიის თანამშრომლები „გზა 11“-ს ხელმძღვანელებისგან კუთვნილი ხელფასების გაცემას ითხოვენ.**

**მუშების აქციას ორგანიზებას პროფკავშირები უწევენ. კომპანიაში დასაქმებულთა დიდ ნაწილს ხელფასები 8 თვეა არ აუღია.**

**მუშებმა ტერიტორიაზე კარვებიც მიიტანეს და აქციის გამართვას იმ დრომდე გეგმავენ, სანამ არსებული დავალიანების გასტუმრება არ მოხდება.**

„ექსპრესნიუსი“

## ◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ უკიდურესად ღარიბი, ვიღებ 65-ლარიან ინვალიდობის პენსიას და კიდევ სოციალურ დახმარებას 22 ლარს. მეზობლები მეუბნებიან, რომ დახმარება 30 ლარი მეკუთვნის ახალი კანონით, მე კი არ ვიცი, სად წავიდე, ვის მივმართო?**

**თათია მიროტაძე**

**პასუხი:** იმისთვის, რომ 22 ლარის ნაცვლად 30 ლარი დახმარება მიიღოთ (ორივე ერთად არ მოგეცემათ), საჭიროა, დარეგისტრირდეთ მონაცემთა ბაზაში და მოიპოვოთ შესაბამისი სარეიტინგო ქულა, აღნიშნულ საკითხზე, თუ პირადად ვერ შეძლებთ, საჭიროა თქვენმა ახლობელმა მიმართოს სოციალური სუბსიდიების სამსახურის რაიონულ ფილიალს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.



* * *

**კითხვა: ვარ 22 წლის, მყავს 3 წლის ბავშვი, რომელსაც მამამ გვარი მისცა, მაგრამ შემდეგ მისი ასავალ-დასავალი აღარ ვიცით. საერთოდ არ ნახულობს ბავშვს, სადღაც გადაიკარგა. იქნებ მაცნობოთ, ჩავითვლები თუ არა მარტოხელა დედად?**

**ელენე გოგიძე**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, მარტოხელა დედად არ ჩაითვლებით, თქვენი შვილი, რომლისთვისაც მამას გვარი მიუცია, სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რითაც რეგისტრირებული „ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვი“. ასე რომ, თუ ბავშვის მამა მონაწილეობას არ იღებს შვილის აღზრდაში, სრული უფლება გაქვთ, მისთვის შვილის სარჩენად ალიმენტის დაკისრების თაობაზე მიმართოთ სასამართლოს.

* * *

**კითხვა: ვარ 25 წლის. მყავს ორი შვილი, უმცროსი 2 თვისაა, ვმუშაობ ბანკში მაღალ ხელფასზე. მეუღლეს და დედას დაბალი ხელფასი აქვთ. მინდა გავიდე სამსახურში და ჩემს ნაცვლად ბავშვის მოსავლელად დედაჩემმა აიღოს უხელფასო შვებულება. ადრე ეს დასაშვები იყო, გთხოვთ, მაცნობოთ, ისევ მოქმედებს ასეთი წესი?**

**ეთერ მირიანაშვილი**

**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად შვებულება ბავშვის (შვილიშვილისძ მოსავლელად შეუძლია აიღოს ბავშვის ბებიამ ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც მას მოუვლის. მხედველობიდან არ გამოგრჩეთ, რომ ახალი შრომის კოდექსით, ქალს შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო (ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშეძ საერთო ჯამში მხოლოდ 477 კალენდარული დღის ხანგრძლივობით ეძლევა.

* * *

**კითხვა: გთხოვთ განმიმარტოთ, განისაზღვრება თუ არა წერილობითი ხელშეკრულებით ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახე?**

**მაია კორკოტაშვილი**

**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად, წერილობითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, როგორც დასაქმების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახე, ისე მისი ფარგლები, თუ ეს გამომდინარეობს სამუშაოს სპეციფიკიდან.

* * *

**კითხვა: უკიდურესად მიჭირს, ვარ 4 შვილის დედა, ვსარგებლობდი ყოველთვიური დახმარებით და შეღავათებით, რომელიც გასული წლიდან გამიუქმეს. იქნებ, დამეხმაროთ და მაცნობოთ, არ მეკუთვნის დახმარება და შეღავათები?**

**მერი კირკიტაძე**

**პასუხი:** იმისათვის, რომ დახმარება მიიღოთ და ყველა სახის გადასახადში 50-პროცენტიანი შეღავათებითაც ისარგებლოთ, საჭიროა შეიტანოთ განაცხადი სოციალური სუბსიდიების სამსახურის რაიონულ ფილიალში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და დარეგისტრირდეთ მონაცემთა ბაზაში, ამის შემდეგ თქვენთან მოვა თანამშრომელი, რომელიც შეამოწმებს ოჯახის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებს და თუ მოგენიჭებათ შესაბამისი სარეიტინგო ქულა, მოიპოვებთ ყოველთვიური დახმარების მიღების უფლებას და ისარგებლებთ 50-პროცენტიანი შეღავათით ყოველგვარი გადასახადის გადახდის დროს, აღნიშნულის გარეშე, შეღავათებით სარგებლობისათვის არ არსებობს კანონიერი საფუძველი.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 99-62-77.**

◉ პროტესტი

# ზარის ჩამოკვრის დროა!..

**რას არ გაიგებს კაცი. თბილისში ხმა დაირხა, ბათუმში, ილიას სახელობის თეატრის წინ რომ ილიას ძეგლი დგას, სხვაგან გადატანას უპირებენო.**

რათაო? — გაოცებით ვკითხულობდით თითქმის დაუჯერებელ ამბავზე.

ილიას ძეგლის ადგილზე, მგონი, შადრევანი უნდა გაკეთდესო.

პირველად მთავრობაზე გაბრაზებულთა მონაჭორი მეგონა. მათზე გავბრაზდი კიდეც. ვიფიქრე, რა უბედურებაა, ხომ არ შეიძლება ასე ჩაუსაფრდე მთავრობას და ფეხებში მიაჩერდე როდის, სად რა შეეშლება, რათა მერე ერთი ამბავი ატეხო. მთავრობის ცდუნებაც შეიძლება და სიკეთის წახალისებაც. იქაც ხომ ადამიანები არიან. რა არ ვიფიქრე. ვინ იცის, იქნებ აჭარის ბიუჯეტში იმდენად მოჭარბდა ფული, რომ აღარ იციან რაში დახარჯონ და ახალი საქმე გაიჩინესო. ფიქრი ხომ უსაზღვროა და რას არ იფიქრებს ადამიანი, მით უფრო მაშინ, როდესაც ამბავს ლოგიკას ვერ მოუძებნი. ამ დროს მოდი და რამდენიც გინდა იყვირე — ლოგიკავ, სადა ხარ?!..

ილიას ძეგლის გადატანის ამბავმა ისე ამაწრიალა, რომ ათასი საფიქრალი გამიჩინა. ჭორი რომ მეგონა, თურმე არც ისე უბრალოდ ყოფილა საქმე. პრესაში დისკუსიაც გაიშალა. დაიწყო საზოგადოებრივი აზრის დამუშავება და მოსინჯვა. ჩემთვის კარგად არის ცნობილი ინტელიგენციის აზრით მანიპულირების ისტორიები.

ჩემს ძვირფას ბათუმელებს, რომლებიც ძეგლის გადატანას უჭერენ მხარს, ზოგიერთების გარდა, დანარჩენებს უნდა შევახსენო, — მაშინ სად იყვნენ, როცა მთელი საქართველოსათვის, ყველა ქართველისათვის, ყველა ბათუმელისათვის შეურაცხმყოფელი და სულის შემძვრელი ისტერია გაჩაღდა დიდი ქართველის მემედ აბაშიძის სახელისა და მისი ძეგლის ირგვლივ? ისიც ზღვის „ხედს“ უშლიდა არა? **მთელი თანამედროვე საქართველო, ყველა, ვინც მაშინ ბათუმში იყო და ჩვენც, რომლებიც ტელევიზორთან მოკალათებულები ვუყურებდით მემედ აბაშიძის ცეცხლმოკიდებულ ძეგლს, ანუ დიდი ქართველის მეორედ დახვრეტის პროცესს, ვერასოდეს ვერ განვთავისუფლდებით ზნეობრივი პასუხისმგებლობისაგან, ვერ მოვიშორებთ ამ ლაქას. ეს იყო 1937 წლის ტრაგედიის გამეორება!**

როგორც ქართველი, შეურაცხყოფილი ვარ ამ ფაქტით და დღემდე როგორც კოშმარი, ისე მაგონდება ცეცხლმოკიდებული ძეგლი და „რევოლუციური“ ბრბოს სამარცხვინო შეძახილები...

მთელს ამ ისტორიას ერთი შეხედვით თითქოს არაფერი კავშირი არა აქვს ილიას ძეგლის „საპატიო ადგილზე“ გადატანასთან. დღეს ილიას თითქოს ვინ შეკადრებს ცუდ ადგილზე გადატანას, მაგრამ ბათუმში არ არსებობს ილიასათვის უფრო საპატიო და სიმბოლური მნიშვნელობის ადგილი. ამით უნდა ამაყობდეს აჭარა. სხვა დანარჩენი საკითხისადმი არაპროფესიული და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება და არასახელმწიფოებრივი დამოკიდებულებაა!

დიდად გამეხარდა, როცა წავიკითხე ღვაწლმოსილი მამულიშვილის, ჩვენი სახელოვანი პოეტის ფრიდონ ხალვაშის წერილი „სადაც არის, იქ იყოს ილია!“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2009, 9. Xძ. ვიმეორებ, არ ველოდი, თუ საკითხი ასე სერიოზულად იყო. მერჩია ვიღაც-ვიღაცების მოგონილი ჭორი ყოფილიყო, რომელიც სერიოზულ განსჯას არ ექვემდებარება.

ელგუჯა ამაშუკელი ღრმად მოაზროვნე, პატრიოტი მოქანდაკე იყო. კარგად მახსოვს, როცა ბათუმში ილიას ამ ძეგლის დასადგმელად ადგილს ეძებდა, უპირატესად აინტერესებდა, რომ დიდი აზრობრივი დატვირთვა ჰქონოდა (არქიტექტორი ვ. დავითაიაძ. მთავარი იყო არამარტო ილიას **საკადრისი ცენტრალური ადგილი, არამარტო ძეგლის აღქმისთვის შესაფერისი სივრცე, არამედ, უპირველესად, აზრობრივი მნიშვნელობა, — ილიას ძეგლისა და მისი სახელობის თეატრის ერთ კომპლექსში გააზრება. ეს ერთი, მთლიანი განუყოფელი ეროვნულ-კულტურული მოვლენა უნდა ყოფილიყო, რომელსაც ღრმა შინაარსობრივი, ისტორიული და კონცეპტუალური დატვირთვა ჰ ქონდა.** ილიასათვის ქართული თეატრი იყო „ეროვნების საჯაროობის ნიშანი“, **სულიერების ტაძარი** და სწორედ ასეთი ტაძრის წინ დაიდგა წმინდანად შერაცხული ილია მართალის ძეგლი. არ მინდა დავიჯერო, რომ დღეს ვინმეს უკვე ეპატარავება თეატრის ისტორიული და თანადროული მნიშვნელობა. ნუ გავხდით ყველაფერს საკამათოდ და აზრთა დაპირისპირების მიზეზად. არა მგონია, მთავრობის წისქვილზე უშვებდეს წყალს ასეთი გაუაზრებელი, მოუფიქრებელი ფაქტები.



ფრიდონ ხალვაში წერს: „ამ წყალწაღებულ ქვეყანას კიდევ წყლის შარდრევანი?! მით უმეტეს, აქაც, ბათუმში, სადაც დილა-საღამოს ციდან წვიმა შადრევნებად ჩამოკიდებულა, სადაც მთელი სანაპირო ბულვარი, ე.წ. მომღერალი შადრევნებითაა მიმომღვრეული და იქვე, გვერდით ზღვის შეუნელებელი თქაშა-თქუშია“.

ვერაფერს დავუმატებ პოეტის ამ გულწრფელსა და მართალ სიტყვებს!..

სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტია, სამწუხაროდ. ყაირათიანობასა და ხალხის ყოველი ლარის გაფრთხილების მაგალითს ზემოდან უნდა გვიჩვენებდნენ, მაშინ ასეთი სერიოზული საკითხების გადაწყვეტის დროს საკითხს ყოველმხრივ შეხედავდნენ, აღარ იქნებოდა იმპროვიზაციები და ვოლუნტარიზმი...

ერთი უცნაური ზნე გვჭირს. ყოველი სიახლე კარგი გვგონია, „ძველი“ კი ცუდი. ჩვენი ამ მანკიერების შესახებაც თავის დროზე გაგვაფრთხილა ილიამ: „რისი და ვისი ათვალწუნებაც უნდათ, იმას მიაკერებენ ხოლმე მარტო ერთ სიტყვას „ძველიაო“ და საქმე მათი ფიქრით გათავებულია... თვითონ ეგ იარაღი მეტის-მეტი ძველია და დღეს ბავშვებსღა აქვთ ხელში სათამაშოდ. არაფერი ქვეყანაზე არც იმით დაიწუნება, რომ ძველია და არც იმითი მოიწონება, რომ ახალია... თვითონ „ახლობით“ იწონებენ თავს და სხვებს კი — „ძველობით“ ჰსწუნობენ... დაძველდა ბატონებო ეგ იარაღი, გაცვდა... იგი გამოუდეგარი და ყოვლად უხეირო იარაღია და მერე სხვებისაგან ნათხოვარი, გამონაცვალი, მაგას ერთ დროს ძალიან ხშირად ჰხმარობდნენ რუსეთში!“.

თაობიდან თაობებს თითით საჩვენებლად ექნებათ ილიას ძეგლის ადგილი, თუ მას გადაიტანენ. მუდამ იტყვიან „შადრევანში გაცვალეს ილიას ძეგლიო“. ვინმეს ასე უნდა შევიდეს ისტორიაში?

**ილიას ძეგლისათვის, მისი ხსოვნისათვის სხვა უფრო კარგი ადგილი არ არსებობს. ბრძნულად იქნა შერჩეული.** მართალია ფრიდონ ხალვაში: „ილიამ თავის საყვარელ ბათუმში, თავისი სახელობის თეატრის წინ, მისი კუთვნილი ადგილი დაიკავა, თავისი ძველი, მაგრამ ძალიან გამძლე სავარძელი დაიდგა და დაბრძანდა“.

დიახ, იქ უნდა ბრძანდებოდეს **დრამატული საზოგადოების პირველი თავმჯდომარის (1881), მუდმივი ქართული თეატრის ერთ-ერთი დამარსებლის, თეატრის კრიტიკოსისა და თეორეტიკოსის ძეგლი. ის საბედნიერო შემთხვევაა, როცა ილიას ძეგლი და მისი შინაარსი ორიგინალურად უკავშირდება ერთმანეთს.**

ყველამ ვიცით, რომ ილია მარტო თეატრის მოღვაწე არ იყო და ამ თემაზე საუბარი უხერხულადაც მიმაჩნია, მაგრამ ილიასათვის, როგორც ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ბელადისათვის, მაშინ სწორედ ქართული თეატრი იყო დიდი ეროვნული ტრიბუნა. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რას ამბობდა იგი თეატრზე: **„ თეატრი დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისათვის. მაგის მეტი ნაციონალობის ნიშან-წყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა. ეგ ერთი ადგილია, სადაც ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს“. „ერის სულიერი ვითარებისა და თვითცნობიერების გაღვივების საქმეში სცენას საპატიო ადგილი უჭირავს... ჩვენი თეატრი, ჩვენი ეროვნების საჯარო ნიშანია. ეს ყველა ქართველს უნდა ახსოვდეს, თუ თავის ქვეყნის ბედზედ გულაცრუებული და გულაყრილი არ არის“.**

**„ყველა ქართველს უნდა ახსოვდესო“** — გვაფრთხილებს ილია. ვითომ ისე ავყვავდით, რომ ეს ყველაფერი ჩვენ აღარ გვეხება?!

არა, ბატონებო! გვეხება და ძალიან კარგადაც გვეხება ყველას იმათ, „ვინც თავის ქვეყნის ბედზედ გულაცრუებული და გულაყრილი არ არის“.

**ვასილ კიკნაძე,**
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ხელოვნების დამსახურებლი მოღვაწე,
პროფესორი

◉ როცა აბუჩად გვიგდებენ

# სარეკლამო მარწუხები

## ვეკითხებით „ჯეოტელის“ დირექტორს პაატა ცანკაშვილს

**ცნობილმა გამოთქმამ — უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშიაო, ბოლო დროს საქართველოს საკომუნიკაციო-საცნობარო ქსელში ახალი ელფერი შეიძინა. მკითხველს, ალბათ, ახსოვს, რომ ჯერ კიდევ წლევანდელ გაზაფხულზე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციით მივესალმეთ ჩვენში ახალი, უფასო კომპანია „ჯეოტელის“ კუთვნილი სატელეფონო- საინფორმაციო სამსახურის — 50-50-09 დაარსებას.**

მაშინ დავბეჭდეთ საუბარი „ჯეოტელის“ დირექტორთან **პაატა ცანკაშვილთან.** საუბარში, კერძოდ, ლაპარაკი იმაზე იყო, რომ ფასიანი სატელეფონო-საინფორმაციო 09 სამსახურს ერთობ საგულისხმო ალტერნატივა გამოუჩნდა, რომელიც მოსახლეობას ნებისმიერ ხელმისაწვდომ ინფორმაციას უფასოდ მიაწვდიდა „ყაჩაღობით“ უკვე სავალალოდ „სახელმოხვეჭილი“ 09 საცნობარო სამსახურისგან განსხვავებით, რომლის, როგორც ჩანს, კარგად „შემზადებული“ ოპერატორები მომხმარებელთა ჯიბეების „ამოწმენდაში“ იმდენად დახელოვდნენ, რომ ერთი მისამართის ანდა ტელეფონის გაგება, შესაძლოა, 5-6 და მეტი ლარიც კი დაგიჯდეთ.

კითხვაზე, თუ რა შემოსავალი უნდა მოეტანა უფასო საინფორმაციო სამსახურს ფირმა „ჯეოტელისთვის“, ბატონმა ცანკაშვილმა ძალიან მოკლედ გვიპასუხა: „შემოსავალს რეკლამა მოიტანს“. კეთილი და პატიოსანი, თუკი ხალხს უფასოდ მოემსახურებიან, ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, მოგებას საიდან ნახავენ, ვიფიქრეთ რედაქციაში. თავდაპირველად ასეც ხდებოდა, ბევრ ჩვენს ახლობელსა თუ სტუმარს, უბრალოდ ნაცნობს, ახალი საინფორმაციო სამსახურის დაფუძნების ამბავი გავაგებინეთ და ხალხიც ხალისით სარგებლობდა მისი მომსახურებით. ასე გაგრძელდა დაახლოებით ზაფხულის შუა რიცხვებამდე, მერე კი რაღაც წარმოუდგენელი ამბები დაიწყო: რამდენიც დავრეკეთ ჩვენ მიერ ასე ნაქებ 50-50-09 საინფორმაციო სამსახურში, იმდენი... პასუხის ღირსნი ვერ გავხდით: თავიდან ოპერატორის ხალისიანი ხმა გვეუბნება — დაელოდეთ ოპერატორს, რომელიც პასუხს გაგცემთ და იწყება, მაგრამ რა იწყება; ჯერ ერთი ტურისტული ფირმის რეკლამა, შემდეგ კიდევ მეორესი, მერე ფსიქოლოგიის დოქტორი სარჯველაძე გვთავაზობს თავის სამსახურს, ბოლოს კი კავშირი წყდება, ხოლო ისევ თუ დარეკავთ, მთელი ეს სარეკლამო ძალადობა თავიდან იწყება.

**გვინდა ვკითხოთ ბატონ ცანკაშვილს, ასევე „ჯეოტელის“ სხვა მესვეურებს: განა საინფორმაციო სამსახურის უპირველესი მოვალეობა მომხმარებლისთვის მისთვის საჭირო (იქნებ აუცილებელიც კი!) ინფორმაციის დროულად და ხარისხიანად მიწოდება არ არის? თუ ტურისტული რეკლამა აკლია მოსახლეობას? რატომ გვიგდებენ აბუჩად, რატომ აბითურებენ ხალხს? ანდა ნუთუ იმის ღირსნი არა ვართ თბილისელები, ერთი ნორმალური სატელეფონო საინფორმაციო სამსახური გვქონდეს, რომლის მესვეურები უტყუარ ინფორმაციას მოგვაწოდებენ, არ გაგვყვლეფენ და მასხრად არ აგვიგდებენ?**

**ოთარ ტურაბელიძე**

2009 წლის 15 ოქტომბერს ზუგდიდის რაიონის ს. რუხში ჩატარდა კოოპერატივის საერთო კრება. იმის გამო, რომ კრებაში მონაწილეთა რაოდენობამ არ შეადგინა კვორუმი, ვიწვევთ ხელმეორედ კრებას, რომელიც ჩატარდება 2009 წლის 25 ნოემბერს 13 საათზე რუხის ადმინისტრაციულ შენობაში.

დღის წესრიგი:

1. კოოპერატივ „რუხის“ წევრთა რაოდენობის დადგენა;
1. კოოპერატივ „რუხის“ ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობა;
3. კოოპერატივ რუხის“ თავმჯდომარის ლუიზა მესხიას გადაყენების საკითხი;
4. ახალი თავმჯდომარის არჩევა;
5. კოოპერატივ „რუხის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადარჩევა;
6. კოოპერატივ „რუხის“ წარმომადგენელთა არჩევა;
7. კოოპერატივ „რუხის“ გამგეობის წევრების გადარჩევა.

კოოპერატივ „რუხის“
სამეთვალყურეო საბჭო

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

### ევგენი პრიმაკოვი:

# იმ ფაქტმა, რომ ბომბი თბილისში ჩამოვარდა, განსაკუთრებით ანტირუსული როლი შეასრულა



**რუსული „ლიტერატურნაია გაზეტას“ ბოლო ნომერში (№ 44) დაბეჭდილია ცნობილი რუსი მეცნიერისა და პოლიტიკოსის, წარმოშობით თბილისელი ევგენი პრიმაკოვის ვრცელი ინტერვიუ, სადაც ლაპარაკია შარშანდელ რუსეთ-საქართველოს ავადმოსაგონარ ომზეც. ქვემოთ გთავაზობთ ე.პრიმაკოვის ინტერვიუს ამ ნაწილს.**

– კიდევ ადეკვატურობის შესახებ. რუსეთის მოქმედება სამხრეთ ოსეთში 2008 წლის აგვისტოში მსოფლიომ თითქმის ერთსულოვნად დაგმო „ძალის გამოყენების არაპროპორციულობის“ გამო. მაგრამ სად არის „ცხელ წერტილებში“ ამ პროპორციულობის საზღვრები და ვინ არის ის პროვიზორი, რომელიც პედანტური სიზუსტით მიუთითებს სწორ მოცულობებსა და შეფარდებებს?

– ხომ არ დაივიწყეთ, თუ როგორი ინფორმაციით იკვებებოდა მსოფლიო შარშან ზაფხულში? მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა: საქართველო ჩაერთო სამხედრო მოქმედებებში, როდესაც სამხრეთ ოსეთში უკვე იმყოფებოდა რუსეთის ათასობით ტანკი. უფრო ადრე სააკაშვილმა, თითქოს არაფერიაო, განაცხადა (ამის ციტატები მოჰყავდა ყველა მასობრივი ინფორმაციის საშუალებას, და მე თავადაც მომისმენიაძ: რუსეთის პირველი 150 ტანკი შემოდის როკის ულელტეხილში. შემდეგ მსოფლიო მოიარა სატელევიზიო კადრებმა იმის შესახებ, თუ როგორ ურტყამენ ცხინვალს „გრადის“ დანადგარები. ისე იყო მოწოდებული, თითქოს ურტყამდა რუსეთის არმია. დარტყმებს კი აყენებდა საქართველო. სააკაშვილი ამჟამად ამას პრაქტიკულად აღიარებს. მაგრამ ერთი წლის წინათ ტელეგადაღება, რომელიც ძარღვებში სისხლს გიყინავდა, გახდა არაადეკვატურობაში ერთობლივი ბრალდების საბაბი.

შემდეგ დაიწყო აღშფოთებანი საქართველოს სამხედრო ობიექტების რამდენიმე დაბომბვის გამო. მთლიანად ბევრი გადახვევა, დეზინფორმაცია იყო, რომლებიც იწვევდა რუსეთის გმობას. მაგრამ, მეორე მხრივ, არ მესმის (თუმცა მე არ ვარ სახედრო პიროვნებაძ, რისთვის ჩამოაგდეს ბომბი 31-ე ავიაქარხანაში თბილისში. იქ თვითმფრინავებს მხოლოდ არემონტებდნენ, მეტი არაფერი. სამხედრო თვალსაზრისით ოპერაციამ (კვლავ ეს ჩემი აზრიაძ არაფერი არ მოგვცა. მაგრამ იმ ფაქტომა, რომ ბომბი თბილისში ჩამოვარდა, განსაკუთრებით ანტირუსული როლი შეასრულა. შეიძლებოდა ამის განჭვრეტა?

„ცხელ წერტილებში“ ვერავინ აწონის სასწორზე: სწორად იყო თუ არასწორად მიყენებული დარტყმები. ამ დარტყმებით გაცვლა თავისთავად არასწორია. ეს შეეხება სამხედრო კონფლიქტსაც ახლო აღმოსავლეთში, სადაც – აქ მე აზრს ვერ შემაცვლევინებთ – არ შეიძლება გავამართლოთ არც ჰამასი, არც „ჰესბოლა“, არც ისრაელი.

Литературная газета

# საკითხის ფასი

**აფხაზეთში დაიწყო მზადება ხუთწლედის მთავარი მოვლენისთვის – პრეზიდენტის არჩევნებისთვის. 12 დეკემბერს აქ უნდა აირჩიონ ნაწილობრივ აღიარებული რესპუბლიკის ხელმძღვანელი – მეოთხე მის უახლოეს ისტორიაში. მაგრამ ეს კამპანია პრინციპულად განსხვავდება სამი წინანდელისგან. იგი გახდება პირველი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების პროცესის დაწყებიდან.**

დღეს ძნელია თქვა, თუ როგორი ტემპებით წავა ეს აღიარება და იქნება თუ არა მასში „უკუმოძრაობები“. მაგრამ როგორიც უნდა იყოს სტატუს-კვო სამხრეთ კავკასიაში, მომავალი არჩევნები იქნება სერიოზული შემოწმება იმისა, თუ რამდენად შეესაბამება რესპუბლიკის ელიტის განწყობილება, ააგოს თავისი სახელმწიფო, მის რეალურ შესაძლებლობებს.

შარშან აგვისტოში რუსეთის მიერ აღიარების შემდეგ აფხაზეთმა გადალახა უკიდურესად მნიშვნელოვანი ზღვარი. საქართველოს პრეტენზიები „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე“, უკვე აღარ არის აქტუალური პოლიტიკური პრობლემა აფხაზეთის ელიტისთვის. მისი მთავარი ამოცანაა დამოუკიდებლობის მოპოვება პოზიტიური მნიშვნელობით და უფრო მაღალი ხარისხით. ბოლოს და ბოლოს, ერთი პატრონის მეორით შეცვლისთვის ხომ აქ იქნა წამოწყებული 90-იან წლებში ბრძოლა „მცირე იმპერიასთან“. ასეთი პოტენციალი აფხაზეთს აქვს. აქ, სამხრეთ ოსეთისგან განსხვავებით, არის სახელმწიფო პროექტი და არა მხოლოდ „გამაერთიანებელი მისწრაფება“. აფხაზეთში გაცილებით უფრო რთულია ორგანიზებული შინაპოლიტიკური სივრცე, მოქმედებს ოპოზიცია (რესპუბლიკის შიგნით და არა მოსკოვში ან ნალჩიკშიძ, დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, არის გამარჯვებულთა ნორმალურად თანაარსებობის გამოცდილება პრეზიდენტის არჩევნებში დამარცხებულებთან, დივერსიფიცირებული საგარეო პოლიტიკა.

მაგრამ ამავე დროს არის რუსეთისგან ცალმხრივი პოლიტიკური დამოკიდებულების გაზრდაც – არა, როგორც მშვიდობისმყოფელისა, არამედ, როგორც თვითგამორკვევის გარანტისა და რესპუბლიკური ბიუჯეტის მთავარი „შემვსებისა“. აღვნიშნავთ, რომ ახალი „გარანტი“ ძალიან დიდ პატივს არ სცემს დემოკრატიას, პოლიტიკურ კონკურენციასა და არასანქცირებულ კონტაქტებს გარესამყაროსთან.

აფხაზეთის ელიტას ელოდება უკიდურესად რთული რებუსის გადაწყვეტა – თავიანთი „მეობის“ დამკვიდრება მოსკოვთან სტრატეგიული სიახლოვის შენარჩუნებით. ამ მეტად რთულ მოქმედებაში მომავალი პრეზიდენტის არჩევნები შეასრულებენ არსებით როლს. შეძლებს აფხაზეთის პოლიტიკური კლასი მის გამართვას მაღალ დონეზე – ეს ნიშნავს იმას, რომ „მეობა“ მიიღებს დამატებით იმპულსებს. ჩარევა გარედან იქნება მინიმალური, არასაჯარო რეიტინგში კი აფხაზეთის დე ფაქტო სახელმწიფოს პოზიცია მაღლა აიწევს. მაგრამ თუ არჩევნები გაიმართება სხვა სცენარით, მაშინ აფხაზეთი ძირს დაეშვება გაუარესებული ვარიანტისკენ „სუვერენული დემოკრატიისა“, რაც გამოიწვევს დესტაბილიზაციას. ასეთ შემთხვევაში ეჭვქვეშ დადგება თავად ხარისხიც ჯერჯერობით ნაწილობრივად აღიარებული სახელმწიფოებრიობისა.

ამრიგად, დღეს დემოკრატიული პროცედურა და უშიშროების წარმოდგენები აფხაზეთში ერთად იყრიან თავს, როგორც არასოდეს.

**სერგეი მაკედონოვი**

ВРЕМЯ

# სუსტი პასუხი რუსეთის აგრესიაზე

**საქართველოს დემოკრატიულად არჩეული პირველი ლიდერი ნოე ჟორდანია 1921 წელს „რუსი ბოლშევიკური ძალების“ შემოჭრის შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოში გაზეთ „დი ტაიმსში“ წერდა: „თუ ევროპა მოითმენს აღმაშფოთებელ უსამართლობას, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ მოახდინა საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, ეს იქნება იმის ნიშანი, რომ იგი ნებას აძლევს ნებისმიერ დიდ სახელმწიფოს, დაესხას თავს მეზობელს და დაიპყროს მისი ტერიტორიის ნაწილი“.**

მართლაც გასაოცარია, თუ როგორ გამოხმაურებად აისახა ევროპის ისტორიაში ეს სიტყვები. 1921 წლისთვის საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე აღიარებული ჰქონდათ დიდ ბრიტანეთს, თავად რუსეთს და ოცზე მეტ სხვა ქვეყანას. მაშინ რუსეთის შემოჭრამ ბოლო მოუღო იმედებს ევროპაში ინტეგრაციისთვის, ქართველთა თაობები კი ცხოვრობდნენ ოკუპაციისა და ტერორის პირობებში. 1921-1945 წლის პერიოდში საქართველომ დაკარგა მოსახლეობის ერთი მესამედი.

პირველი პრემიერი ლეიბორისტებისგან რამსი მაკდონალდი წერდა: „საქართველოს დათრგუნული არმია ძალიან სუსტი იყო, რომ წარმატებით შეეკავებინა მოჭარბებული ძალები და ამჟამად იგი გაჭირვებით არსებობს დირექტორების კომიტეტებით... არ არსებობს პრესისა და სიტყვის თავისუფლება... ეს ფაქტია. და ასეთი სახის დანაშაული პოულობს აპოლოგეტებსა და დამცველებს ჩვენს მემარცხენეებს შორის“.

არ არის უკმარისობა ასეთი აპოლოგეტებისა დღესაც. სამწუხაროა, რომ თანამედროვე ისტორიაში უკვე მესამედ ასეთი ბევრი ქვეყანა ევროპის კონტინენტზე არ აპირებს თვალებში შეხედოს სიმართლეს. ვაცლავ ჰაველმა, ანდრე გლიუკსმანმა და ვიტაუტას ლანდსბერგისმა აშკარად განაცხადეს: დიდი ქვეყანა ყოველთვის მოიძიებს ან შექმნის საბაბს შეჭრისთვის მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლის დამოუკიდებლობასაც იგი პატივს არ სცემს. მაგალითად, მოსკოვმა მხოლოდ 61 წლის შემდეგ აღიარა, რომ სსრ კავშირი თავს დაესხა ფინეთს და არა პირიქით.

საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც ხელისუფლებაში მოვიდნენ სოციალ-დემოკრატები, რასაც, როგორც ჩანს, დღევანდელი ევროპელი მემარცხენეები ივიწყებენ. დამოუკიდებლობის ოთხი წლის განმავლობაში (1918-1921 წლებიძ საქართველო ითვლებოდა „ლიბერალიზმისა და სოციალური სამართლიანობის ბასტიონად“. ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ კარლ კაუცკი (მან წიგნიც კი დაწერა საქართველოს დემოკრატიაზეძ, ემილ ვანდერველდი და თავად რამსი მაკდონალდი ჩამოვიდნენ საქართველოში 1920 წელს. მსოფლიოში აღიარებულმა ფემინისტკამ ეტელ ანაკილმა იმავე წელს საქართველოს უწოდა „ევროპაში ყველაზე საუკეთესო სოციალიზმის“ ქვეყანა.

საქართველო თავისი თავისუფალი პრესით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებით, მოქმედი პარლამენტარიზმით და ღია ეკონომიკით თავისთავად წარმოადგენდა იმ ტირანიის ფუნდამენტურ გამოწვევას, რაც რუსეთში ბოლშევიკებმა დაამყარეს. „არ არსებობს ბოლშევიზმისთვის უფრო მყარი ბარიერი დღეს, ვიდრე სოციალისტური მთავრობა საქართველოში“, – წერდა მაკდონალდი 1921 წელს. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის 1954 წლის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საბჭოებს „არ შეეძლოთ მოეთმინათ ჭეშმარიტად დემოკრატიული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა უშუალოდ თავის საზღვრებთან“. თუ კომუნისტებს შევცვლით პუტინით, ეს ფორმულირება მიესადაგება დღევანდელ დღესაც.

**გიორგი კანდელაკი**

Guardian

# ლაპარაკობს და აჩვენებს კავკასია

**საქართველო რუსეთს უმზადებს იდეოლოგიურ სარმას. მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მონაცემებით, აქ იგეგმება შეიქმნას ახალი რუსულენოვანი არხი – „პირველი კავკასიური“. მის ეთერში გამოჩენას უნდა ველოდოთ 2010 წლის დასაწყისში, რაც დაგვიდასტურეს წყაროებმა სატელევიზიო წრეებში. თითქოს სიგნალის მიღება უნდა შეეძლოთ რუსეთის ტერიტორიაზეც, კერძოდ კი ჩრდილოეთ კავკასიის სუბიექტებშიც.**

ახალ არხს ქმნიან საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის ბაზაზე, რომელიც თბილისში „რუსთავი-2-თან“ და „იმედთან“ ერთად ითვლება სამთავრობო არხებად. და გასაგებიცაა, თუ როგორი მაუწყებლობა ექნება „პირველ კავკასიურსაც“ რუსეთის შესახებ. საქართველო ხომ ბრალს სდებს მას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „წართმევაში“. ამ დროს საქართველოში შეიძლება ვნახოთ რუსეთის ტელეარხები, რომლებსაც აქვთ ახალი ცნობების მიწოდების საშუალება მხოლოდ თანამგზავრის დახმარებით. ცენტრალიზებული მაუწყებლობა შეწყდა 2008 წელს სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის შემდეგ. საქართველოს ტელეარხები, როდესაც საუბრობენ რუსეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ რუსეთის ოპოზიციის საქმიანობას, ეკონომიკურ სირთულეებს და არასტაბილურობას ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და დაღესტანში. თუმცა ბევრმა ქართველმა უკვე დაიყენა თეფშები, რათა უმზირონ დიდ არხებს, მათ შორის რუსეთისასაც.

2006 წელს საქართველოში უკვე იყო შექმნილი რუსულენოვანი ტელეკომპანია „ალანია“ თბილისიდან სამხრეთ ოსეთზე მაუწყებლობისთვის. დიდი ეფექტი ასეთ პროპაგანდას არ მოუტანია და შფოთი სამხრეთოსეთელ საზოგადოებაში იმას არ გამოუწვევია. ახლა, ალბათ, იქნება მცდელობა № 2, მაგრამ უფრო მეტი არეალით. მისთვის სერიოზულად ემზადებიან. ალანიას ჟურნალისტების ნაწილი გადავა ახალ ტელევიზიაში. ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდნენ იმის შესახებ, რომ გათვალისწინებულია „პირველ კავკასიურში“ სამუშაოდ მიიწვიონ ჩეჩნეთის ყოფილი პრეზიდენტის ქვრივი ალა დუდაევა, რომელიც ხშირად ჩამოდის თბილისში. საქართველოში კადრების მოსამზადებლად ჩამოსვლას აპირებს რუსეთის ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის დირექტორი ოლეგ პანფილოვი. თბილისის ორკვირეულ გაზეთ „ყველა სიახლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან დაადასტურა, რომ იგი „მალე გადავა თბილისში საცხოვრებლად“ და წაიკითხავს ლექციებს ერთ-ერთ წამყვან უმაღლეს სასწავლებელში – ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში. ამ გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში რუსი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი კი უარყოფს ცნობას იმის შესახებ, რომ მას განზრახული აქვს სპონსორობა გაუწიოს ახალ არხს, თუმცა თბილისში ასეთი შესაძლებლობის შესახებ საუბრობენ.

„ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მივაწოდოთ ეროვნულ უმცირესობებს სახელმწიფოს პოზიცია. ისინი ხომ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ და ურთიერთობათა ენად იყენებენ რუსულ ენას, – განაცხადა საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრის მოადგილემ ელენე თევდორაძემ. – ამ თვალსაზრისით ასეთი არხის შექმნის იდეა სასიამოვნოა. რაც შეეხება ჩვენი იდეებისა და შეხედულებების გატანას საქართველოს ფარგლებს გარეთ, ამის შესახებ ჯერჯერობით საუბარი ძნელია. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთის გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში ამან შეიძლება გაღიზიანება გამოიწვიოს“. „საქართველოს ჩართვა იდეოლოგიურ ბრძოლაში – ეს პაროდია და იდიოტიზმია, და ამას შედეგები არ მოაქვს, – გვითხრა თბილისელმა პოლიტოლოგმა გიორგი ხუხაშვილმა. – ალბათ, ჩვენმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა თქვას ახალი სიტყვა, რომელიღაც გლობალურ პროცესებში, მაგრამ ამით შეიძლება დაზარალდეს მხოლოდ სახელმწიფო ინტერესები. ასეთმა პროპაგანდამ შეიძლება მიგვიყვანოს რეგიონში შემდგომ დესტაბილიზაციამდე“.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ

## დედამიწის ზურგზე



**ობამა ძალიან გახდა: იგი დაუსვენებლად შრომობს ქვეყნის საკეთილდღეოდ და ავიწყდება ჭამა**

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს სურათი გადაუღეს, როდესაც იგი გამოდიოდა სპორტული დარბაზიდან. სპორტულ დარბაზში დაძაბული ვარჯიშის საათებმაც მის საყვარელ კალათბურთში, რასაკვირველია, შეასრულეს თავისი საქმე. მაგრამ კარგად ინფორმირებული წყაროების ცნობით, საქმე მხოლოდ ეს როდია.

* * *

**რუსეთისა და კამბოჯის გემები ერთმანეთს შეეჯახნენ შავ ზღვაში ბულგარეთის მახლობლად**

ინციდენტი მოხდა ნეიტრალურ წყლებში, გრიგალის პირობებში, როდესაც მღელვარება აღწევდა დაახლოებით 4,5 ბალს. ბულგარელების მიერ შეთავაზებულ დახმარებებზე კაპიტანმა უარი განაცხადა. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი სპეციალისტები აკონტროლებენ გემის ადგილმდებარეობას. სპეციალური შვეულმფრენი მზად არის ინციდენტის ადგილზე გასაფრენად.

* * *

**ჩინეთში დაიწყეს ახალი გრიპის წამლის გაყიდვა – იგი კურნავს სამ დღეში**



წამალი „გაცივების საწინააღმდეგო № 2“ შეიმუშავეს ჩინეთის ტრადიციული მედიცინის სპეციალისტებმა და უკვე გაჩნდა თაროებზე. მისი ღირებულება დოლარზე მცირეა. სპეციალისტების სიტყვებით, პრეპარატი განსაკუთრებით ეფექტიანია ბავშვების მკურნალობის დროს – საკმარისია ერთი-ორი დოზის მიღება მათ სამკურნალოდ. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ უარი თქვა პრეპარატის შეფასებაზე და მიუთითა მონაცემების უკმარისობაზე.

* * *

**სლოვაკეთი კეტავს საზღვარს უკრაინასთან ეპიდემიის გამო**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მისი უწყება კეტავს გადასასვლელებს დასახლებულ პუნქტებს ველკე სლემენცესა და მცირე სელმენცებს შორის, აგრეთვე უბლასა და მცირე ბერეზნს შორის. თუ სიტუაცია გრიპთან დაკავშირებით გაუარესდება, დაიკეტება სამი დარჩენილი გადასასვლელიც.

* * *

**სომალიში ჩაიფუშა თვითმფრინავის გატაცების მცდელობა: მგზავრები ტერორისტებზე უკეთ იყვნენ შეიარაღებული**

რამდენიმე საჰაერო მეკობრემ იშოვა იარაღი, რომ ხელში ჩაეგდოთ თვითმფრინავი, რომელიც მიფრინავდა რეისით ბოსასო-მოგადიშო. მაგრამ მათ წინააღმდეგ გამოვიდა 30 მგზავრი, რომლებიც გაცილებით უკეთესად იყვნენ შეიარაღებულნი. დაჯდომის შემდეგ პოლიციამ გაანეიტრალა ბოროტმოქმედები.



◉ სხვისი პუბლიკაცია

# აკაკის „გამზრდელის“ კითხვისას სერგეი შამბას თვალზე ცრემლი მოდგომია

**„იცით, რატომ იყო დავით აღმაშენებელი ძლიერი ქვეყნის ძლიერი მეფე?.. იმიტომ, რომ ქართველთა, აფხაზთა, რანთა, კახთა და სხვა ხალხების მეფედ იწოდებოდა. მას ყველას გაქართველება და აფხაზი ერის თვითმყოფადობის დაკარგვა კი არ უცდია, არამედ პირიქით, პატივს სცემდა ამ ხალხების კულტურასა და ტრადიციებს... ამიტომაც იყო იგი გონიერი პოლიტიკოსი და ძლიერი მხედართმთავარი. საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებას ჩვენთან ურთიერთობის მოგვარების მცირე შანსი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. ასე რომ, სასაცილოა, როცა მიხეილ სააკაშვილი თავს დავით აღმაშენებელს ადარებს“...**

**ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ სიტყვების ავტორი სეპარატისტთა ერთ-ერთი ლიდერია.**

აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი დღეს ჩვენი რესპონდენტია. სერგეი შამბას პიროვნებით განსაკუთრებით, მას შემდეგ დავინტერესდი, რაც შევიტყვე, რომ იგი ქართველი კლასიკოსების აქტიური მკითხველია. თავიდან შევთანხმდით, რომ ჩვენი ინტერვიუ აპოლიტიკური იქნებოდა, მაგრამ პოლიტიკას მაინც ვერ ავუარეთ გვერდი...

**სერგეი შამბა ქართულ ენაზე კითხულობს ჩვენს კლასიკოსებს: ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს, გიორგი ლეონიძეს, ნოდარ დუმბაძეს... „ვეფხისტყაოსანი“ მისი სამაგიდო წიგნია. მაგრამ განსაკუთრებით, კონსტანტინე გამსახურდიასა და მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება უყვარს. შამბას დედაც ქართველი ჰყავს და მეუღლეც, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, მის პოლიტიკურ ორიენტაციაზე არ აისახება.**

ქართული ენა ჯერ კიდევ ბავშვობაში ისწავლა, მაშინ, როცა მშობლებთან ერთად, გუდაუთაში ცხოვრობდა. შემდეგ, სოხუმის მეათე საშუალო სკოლაში შეიყვანეს. 1969 წელს თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ისტორიის ფაკულტეტზე ჩააბარა. მისი თქმით, საბჭოთა საქართველოში ეთნოკონფლიქტი ერთი შეხედვით, არც კი შეიმჩნეოდა, თუმცა იყო... ქართულ გარემოცვაში გატარებულ წლებს ხშირად იგონებს, ხან კარგად, ხან – ცუდად. მისი თქმით, ის, რომ აფხაზ ახალგაზრდებს ქართულ სასწავლებლებში საკუთარი ქვეყნის გამრუდებულ და ზღაპრად ქცეულ ისტორიას ასწავლიდნენ, საბჭოთა რეჟიმის დანაშაული იყო. ის, რაც მაშინდელ სახელმძღვანელოებში აფხაზეთზე იწერებოდა, ხალხში შემონახული და ჩვენს თაობამდე მოღწეული ისტორიული სიმართლისგან სრულიად განსხვავდებოდა...

**სერგეი შამბა:**

– ვცდილობდი, სიმართლე მეპოვა, მაგრამ მაშინდელ საბჭოთა წიგნებში ეს შეუძლებელი იყო... თბილისში ბევრი, ახალგაზრდობის დროინდელი მეგობარი მყავდა, ზოგი რუსეთში ცხოვრობს, ზოგი – საქართველოში... მათთან ურთიერთობას დღემდე ვაგრძელებ, მაგრამ გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო, მათ გვარებს არ დავასახელებ, რადგან შესაძლოა, პრობლემები ორივე მხარეს შეგვექმნას... აფხაზეთში 1975 წელს დავბრუნდი და საქალაქო საზოგადოება „ცოდნის“ სოხუმის ორგანიზაციის ორგანიზატორად დავიწყე მუშაობა, სადაც ახალგაზრდებს (და არა მარტო მათ) აფხაზეთის წარსულზე ვუკითხავდი ლექციებს და იმ უფლებებს ვაცნობდი, რომლებიც მათ საკუთარ სამშობლოში უნდა ჰქონოდათ. ამ ახალგაზრდებთან არალეგალური შეხვედრებიც მქონდა. მაშინ, როცა ჩვენი გეგმები აქტიურ ფაზაში უნდა შესულიყო, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამიწვიეს. ერთი წელი ყაზახეთში, ქალაქ ჩიმკენტში ვიმსახურე, იქიდან დაბრუნების შემდეგ კი აფხაზური ენის ინსტიტუტში, ლიტერატურისა და ისტორიის ლექტორად დავიწყე მუშაობა. ქართველ კოლეგებთან და მეგობრებთან ურთიერთობას ამ წლებშიც აქტიურად ვაგრძელებდი. ერთად დავდიოდით არქეოლოგიურ გათხრებზე. 80-იან წლებში საბჭოთა სისტემა ჯერ კიდევ ძლიერი იყო, მაგრამ ქართველებში დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის სურვილი თანდათან ღვივდებოდა და ეს პირადი საუბრების დროსაც აშკარად გამოიხატებოდა; ამასთან ერთად, აფხაზური ავტონომიის მიმართ მათი აგრესია იზრდებოდა. ქართველი ახალგაზრდები აქტიურად განიხილავდნენ ავტონომიების გაუქმების საკითხს... იმ წლებში არც ვფიქრობდი პოლიტიკაში წასვლაზე, მაგრამ ვითარებამ მაიძულა და მეც ამ გზას გავყევი. პარალელურად, წიგნებზე ვმუშაობდი. დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით გამოცემული რამდენიმე წიგნი მაქვს დაწერილი. ძირითადად, შუა საუკუნეების აფხაზეთის თემაზე ვმუშაობდი. ჩემს წიგნებში ასახული ფაქტები პირდაპირ ამსხვრევს მითს, რომელსაც ქართველი ისტორიკოსები ამდენი წელია, ქადაგებენ – ქართველებისა და აფხაზების ძმური ცხოვრების შესახებ. ამ ორ ხალხს შორის მუდმივი დაპირისპირება იყო, უბრალოდ, ზოგჯერ ჭკვიანი მეფეები და მთავრები ცდილობდნენ, ეს დაპირისპირება როგორმე არ გამწვავებულიყო. ხან ერთი მხარე თმობდა, ხან – მეორე, ამიტომაც, ქართულ-აფხაზური საზღვარი „მოძრაობდა“: ხან რუხის ციხესთან იყო, ხან – კელასურთან, ხან კი – ქუთაისთან... XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ომის დამთავრებამდე პერიოდს არ შევეხები. ჩემი ქართველი კოლეგები მომხდარში რუსეთს იმიტომ ადანაშაულებენ, რომ სიმართლეზე თვალს ხუჭავენ: რუსეთს ჩვენ მივმართეთ დახმარებისთვის და მან არ გაგვაწბილა. ომი კი ორი ქართველი მმართველის – შევარდნაძისა და გამსახურდიას ამბიციების შეჯახებამ გამოიწვია. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს წლები ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობის ისტორიაში ყველაზე დიდი შავი ლაქაა...

**– ახლახან ცხინვალის ბიბლიოთეკაში ქართული ლიტერატურა გაანადგურეს და ეს ქმედება არც ერთ ადგილობრივ საზოგადო მოღვაწესა თუ პოლიტიკოსს არ გაუკრიტიკებია. რას იტყვით ამაზე?**

– გითხარით, რომ მწერლობისა და კულტურის მტრობა ჩემთვის მიუღებელია...

**– პოლიტიკის გარდა, რითი ხართ გატაცებული?**

– ჩემი ცხოვრება ისტორიასა და არქეოლოგიას მივუძღვენი. ჩემს ხალხს ისეთი დოკუმენტური მასალა დავუტოვე, საბჭოთა სისტემა რომ არ დაშლილიყო, დღის სინათლეს ვერასდროს იხილავდა... ახალგაზრდობაში, თბილისში ცხოვრების წლებში, აღმოსავლური ორთაბრძოლით ვიყავი გატაცებული. ჩემი ქართველი მწვრთნელი, რომელიც ამჟამად გარდაცვლილია, მეუბნებოდა, რომ კარგი მონაცემები მქონდა, მაგრამ სპორტს რატომღაც არ გავყევი.

**– რას გვეტყვით თქვენ ოჯახზე? როგორც ვიცი, ქართველი მეუღლე გყავთ; შვილებმა თუ იციან ქართული?**

– სხვათა შორის, დედაც ქართველი მყავს... რაც შეეხება მეუღლეს, მის შესახებ ხშირად მეკითხებიან და ასე ვპასუხობ: რახან ქართველი ცოლი მყავს, ალბათ ასე იყო საჭირო, რადგან ამქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება-მეთქი... შვილებს ქართული ესმით, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ. ჩემი მეუღლე, მარინა სოხუმელი ქართველია (ქართველი და არა მეგრელი). მისი ნათესავები ომის დროს რუსეთში წავიდნენ საცხოვრებლად და სოხუმში მათი კუთვნილი მაღაზია ჩემს მეუღლეს გადაუფორმეს. ახლა მარინა მაღაზია „ელექტრონული სამყაროს“ დირექტორია. ჩემი ვაჟიც ბიზნესის სფეროში საქმიანობს, სასოფლო-სამეურნეო მაღაზია „კავკაზის“ მეპატრონეა და ამავდროულად, გულრიფშის რაიონულ ადმინისტრაციაში მუშაობს. ქალიშვილი იმ სკოლაში სწავლობს, სადაც მთელი ბავშვობა გავატარე...

**– თქვენზე ხშირად ამბობენ, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკოსი ხართ და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში, საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი გეყოლებათ...**

– შესაძლოა, ვნახოთ. ჯერჯერობით არ ვაპირებ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე დიპლომატიურ სფეროში ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი, განსაკუთრებით – დასავლეთის მიმართულებით. წარსულმა დაგვანახვა, რომ მხოლოდ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა საკმარისი არ არის... აფხაზეთს საერთაშორისო ორგანიზაციები ქართულ-აფხაზური ომით იცნობენ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები ისეთი თვალით გვიყურებენ, როგორც ჩეჩნებს, ავღანელებს ან ქურთებს. როცა ფრანგს მის ენაზე დაველაპარაკებივარ, ის გაოცებისგან სახტად დარჩენილა: ფრანგული საიდან იცითო?!. იგივე რეაქცია ჰქონია ინგლისელს ან ამერიკელს, როცა ინგლისურად გავსაუბრებივარ. ერთხელ ბრიუსელში ჩვენი დიპლომატიური სამსახურის წარმომადგენელს პირდაპირ ჰკითხეს, თქვენს ქვეყანაში მაცივარი თუ გამოიყენებაო?!. არადა, აფხაზებს ევროპელი ხალხების განვითარების ისტორიაში საკმაოდ დიდი წვლილი აქვთ შეტანილი, მაგრამ ამის გასაგებად დაუმახინჯებელი და ობიექტური ისტორიის წაკითხვაა საჭირო, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იყო... ახლობლები მეუბნებიან, რომ სუფთა კავკასიური ხასიათი მაქვს, ქართული „ელემენტებით“ – იმპულსური და ფიცხი ვარ, რაც დიპლომატიას არ უყვარს; შეცდომებსაც ვუშვებ, მაგრამ საბედნიეროდ, საბედისწერო შეცდომა არ დამიშვია.

**– ოფიციალურ საუბრებში ხშირად აცხადებთ, რომ რუსეთი აფხაზეთის საშინაო პოლიტიკურ საკითხებში არ ერევა, თუმცა სინამდვილეში ასე არ ხდება და ეს ყველაზე კარგად თქვენ იცით. ჩვეულებრივი ადამიანებისგან ხშირად მომისმენია, რომ აფხაზი ერის გაქრობის საფრთხეც კი რეალურია...**



– ეს ის კითხვაა, რომელიც აფხაზებში გაღიზიანებას იწვევს. დიახ, დღევანდელი აფხაზეთი რუსული ინვესტიციებით საზრდოობს და ცოცხლობს; მაგრამ რუსები ჩვენგან ენისა და ტრადიციების დავიწყებას არ ითხოვენ, როგორც ამას თავის დროზე ქართული მხარე აკეთებდა. აფხაზები ტრადიციის მოყვარული ერია და ხელისუფლების ნებისმიერ ანტიეროვნულ ქმედებას წინ აღუდგება. გასაგებია, რომ ეჭვს იწვევს რუსული სამხედრო ნაწილების რაოდენობის გაზრდა, მაგრამ ქართველებთან ომმა აფხაზებს თვითგადარჩენის ინსტინქტი გაუორმაგა და გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ რუსებთან ჩვენი ასიმილაცია არ მოხდება. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ რუსეთი დაინტერესებულია ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობით, იგი დიდ სარგებელს იღებს ზღვისპირა აფხაზეთიდან და ამიტომაც გვეხმარება; ჩვენ კი ამ ქვეყანასთან სხვადასხვა პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ასპექტში ვთანამშრომლობთ, მაგრამ - იმ დოზით, რომელიც ჩვენთვისაც მისაღებია. ამას წინათ მოვისმინე ერთი ქართველი ექსპერტის განცხადება: მათი გადარჩენისთვის ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რადგან ამას კანონმდებლობა გვავალდებულებსო. ამ ექსპერტს ერთი კითხვა მინდა დავუსვა: როცა ცხინვალზე განხორციელებული შეტევისას საქართველოს ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალების სრული შემადგენლობა გამოიყენა, მაშინ არ ფიქრობდა ამ ვალდებულებაზე, თუ ოსების მიმართ სხვა კანონმდებლობა აქვს შემუშავებული?.. ჩვენ თანახმა ვართ, რომ აფხაზეთის ტერიტორია რუსეთის სამხედრო ბაზებს დავუთმოთ, მაგრამ აქვე იმასაც გულახდილად გეტყვით, რომ ამას დიდი სიამოვნებით როდი ვაკეთებთ. უბრალოდ, აფხაზეთი პატარა ქვეყანაა, რომელიც არასტაბილურ საქართველოს ესაზღვრება და ამ შემთხვევაში, ჩვენი უსაფრთხოების გარანტი მხოლოდ რუსეთია. ჩვენს ისტორიაში მრავლადაა პატარა აფხაზეთზე თავდასხმის მაგალითი; სიმშვიდე მხოლოდ მაშინ იყო, როცა აფხაზეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, რადგან იმპერია – ეს არის სტაბილურობის გარანტი...

**ლალი პაპასკირი.**
**ჟურნალი „გზა“**

◉ დაიჯესტი

## გინდ „ცისფერი“ იყოს, გინდ „ვარდისფერი“

**პარიზში** ცოტა ხნის წინათ გახსნილი საგანგებო დამკრძალავი ბიუროს მეპატრონემ პიერ ჟუბერმა განაცხადა, რომ მისი ფირმა მხოლოდ იმ კლიენტებს „მოემსახურება“, რომლებმაც სიცოცხლეშივე საჯაროდ აღიარეს საკუთარი ჰომოსექსუალობა. საგულისხმოა ისიც, რომ თავის პატრონს სრულ მხარდაჭერას უცხადებენ მისი თანამშრომლებიც და მზად არიან თავიანთი „ცისფერი“ თუ „ვარდისფერი“ კლიენტურის ნებისმიერი ახირება შეასრულონ.

## შეგონების ძალა

**ტანზანიაში,** ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ტბა მანიარას ნაპირებზე მისული კაცი ნაგვის ნასახს ვერ ნახავს, მიუხედავად იმისა, რომ იქ მუდამ უამრავი ტურისტი მიდის. ტბის მახლობლად არ არის გარემოს დაბინძურებისთვის ჯარიმისა თუ სასჯელის თაობაზე გაფრთხილებული არც ერთი ფირნიში. მათ მაგივრად პარკში შესასვლელში უზარმაზარი პლაკატია გამოკრული წარწერით:

„ქალბატონებო და ბატონებო! თქვენივე სირცხვილის თავიდან ასაცილებლად ნურავის ათქმევინებთ, რომ ვიდრე თქვენ აქ მობრძანდებოდით, აქაურობა მშვენიერი იყო!“.

## ცეცხლსასროლი იარაღი, კალენდარი და ქაღალდის ფული

**მონღოლეთის** მასმედიაში გამოითქვა ერთობ საგულისხმო აზრი იმის თაობაზე, რომ ცეცხლსასროლი იარაღის, თორმეტწლიანი ციკლური კალენდრისა და ქაღალდის ფულის პირველშემქმნელთა პატივი... თანამედროვე მონღოლთა წინაპრებს ეკუთვნით. აღნიშნავენ, შორეული აღმოსავლეთიდან დაწყებული ვიდრე ალტაის მთებამდე უზარმაზარ ტერიტორიაზე გაშლილი კიდანის იმპერია გუნების კულტურის მემკვიდრე იყო, რომელსაც, თავის მხრივ, მონღოლური ფესვები ჰქონდა. ისტორიული ქრონიკების ცნობებით კი სწორედ კიდანებმა, ანუ მონღოლებმა, რომლებმაც ჩინელების მიერ გამოგონილი დენთის მოხმარება ისწავლეს, 1044 წელს პირველი ცეცხლსასროლი იარაღი შექმნეს. რაც შეეხება კალენდარს, მას გუნები ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე 500 წლით ადრე იყენებდნენ. ქაღალდის ფული კი, ევროპელებამდე და ქაღალდის შემქმნელ ჩინელებამდე დიდი ხნით ადრე, თავის იმპერიაში ხმარებაში თვით ჩინგისხანმა შემოიღო.



ჭადრაკი

# ტიტულის დაცვა შევძელით

**საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებმა (ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, სოფიო ხუხაშვილი, ნინო ხურციძე, ბელა ხოტენაშვილი, კაპიტანი — ნინო გურიელი) სერბეთში ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე, როგორც გაუწყეთ, 16 ქულა მოაგროვა და რუსეთის გუნდს მხოლოდ ინდივიდუალური მაჩვენებლებით ჩამორჩა.** ნოვი სადიდან დაბრუნებულ ვერცხლისმედალოსნებს შეხვედრა მოუწყვეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში. დიდოსტატებს მიესალმა და წარმატება მიულოცა სპორტული უწყების თავკაცმა დავით ნამგალაურმა, რომელმაც, კერძოდ, აღნიშნა,



რომ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ქალთა ნაკრებმა ულიდეროდაც შეძლო კვარცხლბეკზე ასვლა, მცირედი დააკლდა ჩემპიონობამდე, რაც იმის მაუწყებელია, რომ გაისად მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე ტიტულის შენარჩუნების იმედი უნდა ვიქონიოთ.

შეხვედრისას ითქვა, რომ ჩვენმა მოჭადრაკეებმა ნოვი სადში ცალკეულ დაფებზეც მოიპოვეს მედლები: ოქროს ნადავლით დაბრუნდა ლელა ჯავახიშვილი, ხოლო სოფიო ხუხაშვილმა და ბელა ხოტენაშვილმა „ვერცხლი" დაიმსახურეს.

**აქვე გაუწყებთ დაფების მიხედვით გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:**

**I დაფა.** ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 6 ქულა 8 თამაშიდან, 2. ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 5/7ძ, 3. კატერინა ლაჰნო (უკრაინა, 5,5/8ძ;

**II დაფა.** 1. ლელა ჯავახიშვილი (საქართველო, 5,5/7ძ, 2. ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი, 6,5/9ძ, 3. სოფი მიე (საფრანგეთი, 5/7ძ;

**III დაფა.** 1. ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 8/9ძ, 2. სოფიო ხუხაშვილი (საქართველო, 5/7), 3. ლილით გალოიანი (სომხეთი, 5,5/8ძ;

**IV დაფა.** 1. ეკატერინი ფახირიდუ (საბერძნეთი, 4,5/6ძ, 2. იოანა დვორაკოვსკა (პოლონეთი, 5/7ძ, 3. ოლგა ვასილიევა (ისრაელი, 5/7ძ;

**სათადარიგოები:** 1. იოანა მაიდანი (პოლონეთი, 6/7), 2 ბელა ხოტენაშვილი (საქართველო, 6,5/8ძ, 3. ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 5/7ძ.

**ნინო გურიელი**: შედეგით კმაყოფილი ვარ. იმედები გაგვიმართლა ბელა ხოტენაშვილმა, რომლის დებიუტიც წარმატებული გამოდგა. მეტად საჭირო ქულები მოგვიტანა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა ვუთხრა როგორც გუნდის წევრებს, ისე ყველა იმ ადამიანს, ვინც გვიქომაგა.

**გია გიორგაძე, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი:** 9 მატჩიდან 7 მოგება და 2 ფრე ნებისმიერი გუნდისთვის საუკეთესო შედეგი იქნებოდა. ჩვენთვისაც. მთავარი კონკურენტიც დავამარცხეთ, მაგრამ ინდივიდუალურად მოგროვებული ქულებით ჩამოვრჩით რუსეთს, რომლის ღირსებასაც მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები — ალექსანდრა კოსტენიუკი და ტატიანა კოსინცევა იცავდნენ. რომ არა გაუთვალისწინებელი ფრე აზერბაიჯანის სუსტ ნაკრებთან, ჩემპიონობა ჩვენ დაგვრჩებოდა. თუმცა ახლა თეორიების დრო აღარ არის — ევროპის ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილება გახდა. აქედანვე უნდა ვემზადოთ მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადისთვის, რომელსაც გაისად რუსეთი უმასპინძლებს. სერბულმა ბატალიებმა დაგვარწმუნა, რომ ტიტულის დაცვა შევძელით.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: საქართველოს ქალთა ნაკრები სპორტის დეპარტამენტისა და ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელებთან ერთად.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

რაგბი

# არგენტინას ვუმასპინძლებთ



**ქართული რაგბის 50 წლისთავთან დაკავშირებით, ბორჯღალოსნები ეროვნულ სტადიონზე 14 ნოემბერს არგენტინის A ნაკრებს უმასპინძლებენ. ტიმ ლეინმა თითქმის ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყარა თავი.** საგულისხმოა, რომ ჩვენი ნაკრები 20 ნოემბერს როვიგოში იტალიის A ნაკრებსაც დაუპირისპირდება. ამ შეხვედრებისთვის საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით მოემზადება: დავით ხინჩაგაშვილი, აქვსენტი გიორგაძე, დავით ქუბრიაშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, გოდერძი შველიძე, ილია ზედგინიძე, ლევან დათუნაშვილი, გიორგი ნემსაძე, გიორგი ჩხაიძე, გია ლაბაძე, რატი ურუშაძე, მამუკა გორგოძე, ბიძინა სამხარაძე, ირაკლი აბუსერიძე, ლაშა მალაღურაძე, დავით კაჭარავა, თედო ზიბზიბაძე, რეზო გიგაური, ირაკლი მაჩხანელი, მალხაზ ურჯუკაშვილი, ალექსანდრე თოდუა, მერაბ კვირიკაშვილი.

სპორტი და მედიცინა

# იკვლევენ ქალთა პრობლემებს

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტული მედიცინის ასოციაციის ერთობლივი ინიციატივით „ავერსის" კლინიკის საკონფერენციო დარბაზში მედიკოსთა საინტერესო ღონისძიება მოეწყო თემაზე — ქალები და სპორტი.** მოხსენებებით გამოვიდნენ მეცნიერებათა დოქტორები: ზურაბ კახაბრიშვილი, რომანოზ სვანიშვილი, დურმიშხან ჩიტაშვილი, იზა კორინთელი, ლელა აფციაური, მარინე ჩხიკვიშვილი, ქეთევან ბერიძე, ანჟელა კრავეიშვილი და სხვები. კონფერენცია 5 ნოემბერს დამთავრდება.

**ვაჟა დანელიას ფოტო.**




მემორიალი

# მოკლე, მაგრამ მეტად საინტერესო



**ხვალ მოსკოვში იწყება მიხეილ ტალის მორიგი მემორიალი, რომელიც მეტად ხანმოკლეა, მაგრამ ძალიან საინტერესო.** მასში სულ ოთხი დიდოსტატი მონაწილეობს: მსოფლიო ჩემპიონი ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), მსოფლიო ექსჩემპიონი ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი), გრან-პრის სერიაში გამარჯვებულები ლევონ არონიანი (სომხეთი) და მაგნუს კარლსენი (ნორვეგია). შეჯიბრება ორ წრედ ტარდება. 6 პარტია, ცხადია, ცოტაა, მაგრამ მან უნდა იმოქმედოს 2009 წლის №1 მოჭადრაკის გამოვლენის საკითხზე.

ფეხბურთი

# ველიტონი - რუსეთის ნაკრებში?

**აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, რომ რუსეთის ნაკრებში რომელიმე ცნობილი საზღვარგარეთელი ფეხბურთელი მიეწვიოთ. ექსპერტები კი გამოთქვამდნენ აზრს, რომ ამის გაკეთება საჭირო იყო, რადგან ნაკრებს ყველაფერი რიგზე არა ჰქონდა, განსაკუთრებით თავდასხმაში.**

თავდაპირველად ლაპარაკი იყო ცსკაში მოთამაშე ვაგნერ ლავზე, მაგრამ ეს კანდიდატურა მოიხსნა, რადგან ფეხბურთელი მწვრთნელმა დუნგამ ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთ კანდიდატად დაასახელა. ამასთან ვაგნერ ლავმა საერთოდ არ მოისურვა რუსეთში დარჩენა — აქ ძალიან მცივაო.




ახლა ლაპარაკია მოსკოვის „სპარტაკის" თავდამსხმელ ველიტონზე (დაიბ. 1986 წლის 27 ოქტომბერს), რომელიც დიდი შედეგიანობით გამოირჩევა და აქ 2007 წლიდან თამაშობს.

**ნიკიტა სიმონიანი:** „ველიტონი აღტაცებას იწვევს — ერთი სიტყვით, თავდამსხმელად არის დაბადებული. მას ბომბარდირის ყველა ღირსება აქვს: კარგად იხსნება, სწრაფია და შედეგიანი". ახლო წარსულში ცნობილ თავდამსხმელ ვლადიმირ ბესჩასტნიხს ბრაზილიელი ძალიან მოსწონს: „იგი დიდებული ფორვარდია. საგოლე მომენტს არ უცდის, თვითონ ქმნის მას. შეუძლია მიიღოს რუსეთის მოქალაქეობა და ჩვენს ნაკრებში ითამაშოს".

ინტერნეტიდან

## პრეზიდენტმა მიულოცა



**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მიულოცა რუსეთის ქალ მოჭადრაკეთა ნაკრების წევრებს ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვება ნოვი სადში. მისალმებაში ნათქვამია, რომ რუსეთის ნაკრები ბრწყინვალედ გამოვიდა ევროპის გუნდურ პირველობაზე.**

„ოქროს მედლები რომ მოიპოვეთ, კვლავ დაამტკიცეთ, რომ სამამულო საჭადრაკო სკოლა ჭადრაკის მოყვარულთა სიამაყისა და აღტაცების საგანია და რომ ის მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერესად რჩება. თქვენი გამარჯვება ღირსეული წვლილია ჩვენი ქვეყნის დიდ საჭადრაკო ტრადიციებში. მე განსაკუთრებით მსიამოვნებს, რომ რუსეთის ვაჟთა გუნდიც წარმატებით გამოვიდა და გახდა ამ შეჯიბრების პრიზიორი. გამარჯვებები თქვენ და ახალი წარმატებანი, — ნათქვამია პრეზიდენტის მისალმებაში.

## ნიუ-იორკში სირბილიც ძნელია

**თუმცა იმ დღეს ნიუ-იორკში ციოდა და ქარი ქროდა, მაგრამ ტრადიციულმა მეორმოცე საერთაშორისო მარათონმა მაინც 42 ათასი სირბილის მოყვარული შეკრიბა.**

ყველა მოელოდა, რომ საიუბილეო მარათონზე მთავარი ფავორიტი იქნებოდა ბრიტანელი პოლა



რედკლიფი, მაგრამ ის მხოლოდ 36-ე კილომეტრამდე იცავდა ტემპს, შემდეგ კი თანდათან ჩამორჩა, რაც შემდეგ ფეხში დაწყებული ტკივილით ახსნა.

გამარჯვებისთვის 41-ე კილომეტრამდე იბრძოდა 10 ათას მეტრზე სირბილში ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ დურარტუ ტულუსთან (ეთიოპია) 41 წლის რუსეთელი ლიუდმილა პეტროვა, მაგრამ შემდეგ ამ ორთაბრძოლას ვეღარ გაუძლო და მარათონზე, შარშანდელივით, მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. 2000 წელს გამარჯვებასთან ერთად რუსეთელი ნიუ-იორკის მარათონზე მერვედ გამოვიდა და მუდამ მოწინავეთა რიგებში იყო.

ეთიოპიელი ტულუს შედეგი იყო — 2.28.52, პეტროვასი კი — 2.29.00.

## როცა სპორტი უყვარს



**სახელგანთქმულმა ბრიტანელმა მოდელმა ლუისი პინდერმა, დიდი ხანია, გაამჟღავნა თავისი სიყვარული სპორტისადმი. განსაკუთრებით მგზნებარე სიყვარულს ფეხბურთის გუნდის „საუთ ჰემპტონისადმი" ამჟღავნებდა და ფოტოსესიებს კი კრივის რინგზე აწყობდა. თუმცა ლამაზმანის მთავარ საქმედ მაინც სამოდელო ბიზნესი რჩება.**

ახლახან ქალიშვილი გახდა ტიტულის „დიდი ბრიტანეთის საუკეთესო გულმკერდი" მფლობელი. ეს ხომ ნამდვილად აღიარებაა.

თუმცა ლიუსის ფოტოს რომ უყურებთ, მაინც და მაინც გაკვირვებული არ დარჩებით — მისი მკერდი და ფიგურა მხოლოდ აღტაცებას იწვევს. გაოცებთ ისიც, რომ ქალიშვილს, მისივე თქმით, მომხიბვლელი ფორმების შენარჩუნებაში სექსი ეხმარება. ალბათ სწორედ ამის გამო მიაწერეს მას იარლიყი „საუკეთესო"!

ღვაწლი

# განათლების დარგის რეკორდსმენი

**დიახ, სპორტულ რეკორდსმენზე კი არა, მოგითხრობთ კაცზე, რომელმაც თავისებური რეკორდი დაამყარა განათლების სისტემაში. ლაპარაკია ავთანდილ ცანავაზე, რომელიც თავისი 80-წლიანი სიცოცხლის მანძილზე 33 წელი ხელმძღვანელობდა აბაშის რაიონის განათლების განყოფილებას. იქამდე კი მართლაც რომ გრძელი და ძნელი გზა გაიარა კაცურკაცად, მასწავლებელთა მასწავლებლად აღიარებულმა ბატონმა ავთანდილმა.**



ომის უძნელეს პერიოდს დაემთხვა მისი მოსწავლეობის წლები. მაშინ სიღარიბე და შიმშილი რომელ ოჯახში არ იყო. ოთხშვილიან ოჯახს განსაკუთრებით უჭირდა, უფროსი ძმა ომში იბრძოდა, დები შეძლებისდაგვარად მუშაობდნენ, სწორედ მაშინ სწავლასმოწყურებულმა პატარა ბიჭმა გადაწყვიტა, სამი დღე კოლმეურნეობაში ემუშავა, სამი დღე კი განსაკუთრებით ებეჯითა, რათა სწავლაში არ ჩამორჩენილიყო. განსაკუთრებით ისტორია შეიყვარა, რაც მასწავლებელ დიმიტრი ქოიავას „ბრალი“ იყო. აკი სკოლის დამთავრების შემდეგ, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწორედ ისტორიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

როგორც ახლა იხსენებს, თითქმის მთლიანად დემობილიზებული მეომრებით დაკომპლექტებულ ფაკულტეტზე ყველაზე პატარა ვიყავი გარეგნობითაც და ასაკითაცო. მისაღებ გამოცდებზე მოპოვებული წარმატებებით მაშინვე მიიპყრო ყველას ყურადღება (მადლობის წერილიც კი გამოუგზავნეს მის მშობლიურ სკოლას).

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, „ახალგამომცხვარმა“ პედაგოგმა სოფელ პირველი მაისის სკოლაში დაიწყო მუშაობა. პედაგოგიურ კოლექტივშიც ყველაზე უმცროსი იყო. თუმცა თვითონ არ უყვარს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, როგორც ჩანს, მისმა შრომისმოყვარეობამ, ნიჭმა და პატიოსნებამ იქაც მიიქცია ყურადღება და მალე დააწინაურეს ჯერ კომკავშირულ, შემდეგ კი პარტიულ სამუშაოზე. ბოლოს კი, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, სარეკორდო დროით – ცხოვრების მესამედზე მეტ ხანს სათავეში ედგა რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განვითარების უდიდესი პასუხისმგებლობის საქმეს.

არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ, რომ თანამდებობრივი ზესვლა არასოდეს ყოფილა ავთანდილ ცანავასთვის ფულის, ქონების დაგროვების მიზანი, მისი და მისი ოჯახის დიდი სიმდიდრე განათლება, სწავლა, წიგნი, ინტელექტი იყო. ეს ღირსებანი მთელ კუთხეში შრომისმოყვარეობითა და პატიოსნებით სახელგანთქმული დიანოზ ცანავას ოჯახიდან გამოჰყვათ მასაც და მის და-ძმასაც. სწორედ ამით გამოირჩევიან ბატონი ავთანდილის ახლანდელი ოჯახის წევრებიც: მეუღლე – ქალბატონი ზაირა პირტახია – ექიმი-ნეონატოლოგი, ქალიშვილი მაია – გინეკოლოგი, სამტრედიის სამშობიარო სახლის დირექტორი, ვაჟი დიმა – ექსპერტი-კრიმინალისტი, სიკეთითა და კაცთმოყვარეობით გამოირჩევა სიძე, იურისტი ვალერი ურუშაძეილიც. ამავე სულისკვეთებით ზრდიან ორ შვილიშვილს – მარიამს და გიორგის, ახლა მოსწავლეები რომ არიან. ნათქვამია, ხე ნაყოფით შეიცნობაო. სწორედ ასეა აქაც.

ბატონი ავთანდილი თითქმის სამი წელია, რაც პენსიაზეა. სიმართლენარევი ხუმრობით ამბობს, ასაკის გამო კონკურსზე, აბა, ვინ დამიშვებდა, თორემ...

ღირსების ორდენოსანი ღირსეული კაცი სოფელში, ძველ მამაპაპისეულ, ასწლოვან, ხისაივნიან სახლში ცხოვრობს. მრავალგზის შესთავაზეს კეთილმოწყობილი ბინა აბაშაში, თანამდებობის მიხედვით რომ ეკუთვნოდა, მაგრამ მუდამ უარს ამბობდა მშობლებისა თუ მშობლიური სოფლის სიყვარულით.

პენსიაზე კი არის, მაგრამ ისევ სულ წიგნებშია ჩაფლული, ისევ ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაზე ფიქრებშია, აკი ამიტომაც აკითხავენ მის დროს დაფრთიანებული სკოლების დირექტორები, მასწავლებლები და ახლებიც – დიდ საქმეს ახლადშეჭიდებულნი. აბა, რა ავთანდილი იქნებოდა, ვინმესთვის რჩევა-დარიგება რომ დაზარებოდეს.

ძალზე აწუხებს, რომ ახლა ბევრ მასწავლებელს პასუხისმგებლობის გრძნობა აკლია, შეიძლება, ცოდნა აქვთ, მაგრამ ვერ ახერხებენ გაკვეთილზე მის სათანადოდ გამოყენებას, კარგად ახსოვს არც თუ დიდი ხნის წინათ ძველი და ახალი თაობის მასწავლებელთა ურთიერთპატივისცემა და თანადგომა, ცოდნის, მიგნებების გაზიარება, რაიონული, რესპუბლიკური თუ საკავშირო პედაგოგიური კონფერენციებიც, როგორც მასწავლებელთა დახელოვნების სკოლა.

სასკოლო რეფორმების წინააღმდეგი როდია, მაგრამ მიაჩნია, რომ ისინი აღზრდა-განათლების სრულყოფას უნდა ემსახურებოდეს და არა მის მოშლას. ამიტომ ყველაფერი გონივრულად და არა ნაჩქარევად უნდა დაიგეგმოს და ბოლომდე განხორციელდეს. მეტი პასუხისმგებლობაა საჭიროო, ყველაფერს, რასაც ზემოთ იტყვიან, ტაშით კი არ უნდა ვხვდებოდეთ, არამედ ყველგან, ზემოთაც და ქვემოთაც, ერთნაირი გულისყურით და მონდომებით უნდა ვაკეთებდეთ. არ მოსწონს სახელმძღვანელოების ხშირი ცვლა და მრავალრიცხოვნება. არც ის, რომ ლიტერატურის სახელმძღვანელოდან ქართული მწერლობის კორიფეთა ნაწარმოებები ამოიღეს. მისი თქმით, პატრიოტები მხოლოდ პატრიოტულ ზანაკებში ვერ გაიზრდებიან, თუ ყოველივე ამას საფუძვლად არ უდევს სკოლასა და ოჯახში მიღებული წრთობა, და არა მხოლოდ ბუჩქებში კოტრიალი.

კაცი იმედით ცხოვრობსო და ბატონ ავთანდილსაც იმედი აქვს, რომ მალე ყველაფერი მოწესრიგდება, აღზრდა-განათლება ეროვნულ ტრადიციებს დაეფუძნება, სახელმძღვანელოებიც სტაბილური გახდება და სკოლებისთვის მასწავლებელთა მომზადებას ნამდვილად სახელმწიფო ყურადღება მიექცევა.

ავთანდილ ცანავა რაიონის განათლების სისტემის ნამდვილი ხელმძღვანელი და მზრუნველი იყო. ამ პოსტზე მუშაობის პერიოდში რაიონში აშენდა 15 სასკოლო და 4 საბავშვო ბაღის შენობა, არნახულად განმტკიცდა სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზა, ისე, რომ ახლა მხოლოდ შევსება ან შეკეთება თუ სჭირდება.

1929 წლის 10 ღვინობისთვეს დაბადებული, ვალმოხდილი, ამაგდარი კაცი შესანატრი ახალგაზრდული ენერგიით შეხვდა თავის საიუბილეო თარიღს. არც ბაღ-ვენახში შრომას აკლებს და არც – წიგნებთან ჭიდილს, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

**კახი გურიელი**

ქორეოგრაფია

# სავსე ქართული პატიოსნებით



**ქართულ ცეკვას „კვირის პალიტრამ“ (№41ძ გვერდი დაუთმო. პროფესორების რევაზ ბალანჩივაძის და რევაზ ჭანიშვილის ერთობლივ წერილში ვკითხულობთ: „ქართულმა გენიამ ქართულ ცეკვაში ყველა საუკეთესო თვისება ჩადო. ამიტომაც არ შეიძლება მისთვის ხელის ხლება“.**

ეს აზრი ვრცელ წერილს წითელ ზოლად გასდევს და განსაკუთრებულ ნიშანდობლიობას იძენს იმით, რომ ქართულ ფილოსოფიაში ფრიად წონადმა ავტორიტეტმა რევაზ ბალანჩივაძემ და გამოჩენილმა ქორეოგრაფმა რევაზ ჭანიშვილმა უმთავრეს საზრუნავს მხარი აუბა და ეროვნული საგანძურის საკადრისი მოვლისა და გაფრთხილებისთვის შემოკრული ზარი ორმაგად მჟღერი აღმოჩნდა.

დღევანდელ ვითარებაში, როცა უპირატესად ერთმანეთთან დაპირისპირებული ძალები უფრო ჩანან, ვიდრე სასიკეთო საქმეში მხარის ამბმელი რაინდები, მეცნიერისა და ხელოვანის ესოდენ სარგო დუეტი თავის მხრივ ითხოვს დალოცვილი ბანების ახმიანებას. იმ ბანების გუნდისა, რომლის წევრებად მთელი ქართული საზოგადოებრიობა წარმოგვიდგება, რამეთუ სრულიად უნიკალური ფენომენი ერისა, სავსე ქართული პატიოსნებით, პოეტური ხედვის გალაკტიონისეულ სიმაღლეს გვაზიარებს.

კლასიკური ქართული ლიტერატურა, დაწყებული გრიგოლ ორბელიანიდან და დამთავრებული ოტია იოსელიანით, ქართულ ცეკვას ქართველი ადამიანის სულისკვეთების ხატად აღიქვამს და ქართული ზნეობის დესპანად წარმოაჩენს მთელ მსოფლიოში.

ჩვენს წინაშე მრავალმხრივ საკვლევი საგანია. თავისი სათქმელი დაებადება ქართული ცეკვის ბუნებაში ჩახედვისა და ჩაღრმავების მსურველ ფსიქოლოგს, სოციოლოგს, ბიოლოგს, გენეტიკოსს და მრავალი სხვა დარგის მეცნიერს...

ქორეოგრაფია გამორჩეული საკომუნიკაციო არხია. გამორჩეული იმით, რომ მისი ენა არავერბალურია, არასიტყვიერია, მაგრამ ყველასთვის გასაგები და იმავდროულად მთქმელი იმისა, რაც ვერც ერთ ენაზე ვერ გამოითქმის.



ქართული ცეკვის თაობაზესაჯაროდ საუბრის მოთხოვნილება, უწინარეს ყოვლისა, ერის ღირსების მუდმივი თვალთვალის აუცილებლობითაა ნაკარნახევი.

შესანიშნავი პუბლიკაციის მეშვეობით ქართული პრესის ერთ-ერთი ლიდერი სულიერ ფასეულობათა მიმართ ყურადღების მოდუნებას გვარიდებს.

**„ყოველ ერს, ისევე, როგორც ყოველ ცალკეულ ადამიანს, სიცოცხლის საფუძვლად უდევს ერთადერთი თემა, ცენტრალური ბგერა, რომლის გარშემო ჰარმონიის ყველა დანარჩენი ბგერა იკრიბება... თუკი ერი მას უკუაგდებს, თუ უკუაგდებს საკუთარი ცხოველმყოფელობის პრინციპს, საუკუნოთა მიერ გადმოცემულ გეზს, ეს ერი კვდება“.**

დიდი ინდოელი მოაზროვნის ვივეკანანდას დებულება სავსებით მიესადაგება ქართული ცეკვის დედააზრს. ქართული ცეკვა სწორედ რომ ერის ცენტრალური ბგერაა ცოცხალ ქმედებად ქცეული და ამიტომაც სავსეა ქართული პატიოსნებით.

ყოველი მცდელობა საუკუნეებს გამოყოლილი ამ გეზიდან აცდენისა თუ გადახვევისა, მკრეხელობის ტოლფასია.

ქართული ქორეოგრაფიის უტყუარი რაინდების დროშაზე ოქროს ძაფებითაა ამოსაქარგი ცნობილი მოწოდება:

**წინ წინაპრებისკენ!**

**მიხეილ გიჟიმყრელი,**
ჟურნალისტთა კავშირის წევრი;

**გიორგი გიჟიმყრელი,**
პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

გახსენება

# წლები რა არის ტკივილის გასაქარვებლად...

## ჟორა ღლონტი



**იგი თბილისში სრულიად ჭაბუკი ჩამოვიდა. გაითავისა, შეისისხლხორცა და შეიყვარა დედაქალაქი, მისი ტრადიციები და სულ მალე თბილისის კოლორიტადაც იქცა. მეგობრის ჭირისა და ლხინის უფალი იყო მუდამ. ჩვეული გურული იუმორით შეზავებული საუბარი იცოდა, ხან დინჯი იყო, ხან ფიცხი, უმეტესად კი თავაზიანი და ღიმილიანი... მიუხედავად ცხოვრების გზაზე გადახდილი უამრავი გაჭირვებისა, უახლოესი ადამიანების ამ საწუთროდან გაცილებისა, ტკივილიანი გული მაინც სიკეთით ჰქონდა სავსე. ცხოვრებამ ვერ გააბოროტა. ხარობდა უბედნიერეს ოჯახში, მეუღლესთან, შვილებთან შვილიშვილებითა და რძალ-სიძით განებივრებული, მაგრამ...**

**ორი წელია, რაც უზენაესმა სასუფეველი დაუმკვიდრა ზეცაში ჟორა ღლონტის სულს. ორი ტკივილიანი წელიც გავიდა, მაგრამ წლები რაა მისი წასვლით გამოწვეული მწუხარების გადასაფარად. იგი საოცრად ენატრება ყველას, ვინც კი მას იცნობდა.**

**ღმერთმა გაანათლოს მისი სული!**

**ოჯახი**

**დოდო უჩანეიშვილი, მარინე და თამაზ ჭანტურიები ოჯახებით დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდებული ოჯახისშვილი, უახლოესი და უკეთილშობილესი პიროვნება**

**სევერიანე (სერგოძ ბიძინას ძე სალაყაია**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება პროფესიონალი ფოტოჟურნალისტის, ჩვენი გაზეთის ერთგული მეგობრის**

**მურმან ჩაჩუას**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## მისი ვარსკვლავი

# „ვმღერი – მაშასადამე, ვარსებობ“




**დანიელ ლევის ცნობილი გამოთქმა – „ვმღერი – მაშასადამე, ვარსებობ“ წაუმძღვარებიათ ავტორებს მომცრო ბიოგრაფიული ნარკვევისთვის, რომელიც გამოჩენილი ქართველი მომღერლის ნოდარ ანდღულაძის 80 წლისთავს ეძღვნება.**

აქ მოკლედ არის განხილული ცნობილი ტენორის, საოპერო მომღერალთა მრავალი თაობის აღმზრდელის მოღვაწეობა, გზა, რომელიც ბატონმა ნოდარმა – დიდი დავით ანდღულაძის ღირსეულმა მემკვიდრემ განვლო და თავისი შემოქმედებით ღრმა კვალი დააჩნია სამამულო საოპერო ხელოვნებას.



დაფასებულია მისი ღვაწლი, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა გუშინწინ, 2 ნოემბერს, როდესაც თბილისის საოპერო თეატრის წინ ნოდარ ანდღულაძის ვარსკვლავი გაიხსნა.

გილოცავთ, ბატონო ნოდარ, გეარსებოთ, გეცოცხლოთ, ანუ გემღეროთ კვლავაც – დიდხანს!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## შეხვედრა გორის უნივერსიტეტში

# მამები და შვილები

**თუმცა პარასკევი იყო, ის დღე გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმ ცნობილი „ოთხშაბათობის“ განახლებად აღიქვეს, თავის დროზე გამოჩენილმა მწერალმა ოთარ ჩხეიძემ რომ დააარსა ქართულ მწერლობაზე, ქვეყნის სატკივარზე, ეროვნულ ფასეულობებზე სასაუბროდ და „ფიქრთ გასართველად“.**

სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით გამოწვეული დიდი ხნის შესვენების შემდეგ, გორის უნივერსიტეტში კვლავ შეიკრიბნენ ოთარ ჩხეიძის უმრწემესი მეგობრები, ნასტუდენტარები, დღეს უკვე თმაშევერცხლილი ადამიანები, ცნობილი „ოთხშაბათობის“ მონაწილენი. ოთარ ჩხეიძე დღეს ჩვენთან აღარ არის, მაგრამ არის როსტომ ჩხეიძე, გამოჩენილი მწერლის შვილი, თავადაც გამორჩეული მეცნიერ-მკვლევარი, მწერალი და პუბლიცისტი, სალიტერატურო ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორი.

იმ დღეს როსტომ ჩხეიძე მოვიდა გორის უნივერსიტეტში ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან შეხვედრაზე. ღონისძიება საქმიანად, ჩინებული ორგანიზებულობის ნიშნით ჩატარდა. არცაა გასაკვირი, როცა უნივერსიტეტში ისეთი ენერგიული და უმაღლესი განათლების საქმის ორგანიზატორი მოღვაწეობს, როგორიც პროფესორი მარინა ცერცვაძეა.

სტუდენტებს აინტერესებდათ არა მარტო ქართული მწერლობის დღევანდელი მდგომარეობა, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებიც, რა გავლენას ახდენს იგი XXI საუკუნის ქართულ მწერლობაზე, ლიტერატურის სფეროში სიახლეებზე.

თავიანთ გამოსვლებში, ისევე როგორც კითხვა-პასუხის ფორმით გამართულ დიალოგებში, საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ელენე ხოჯევანიშვილმა, პროფესორებმა შოთა ქურდაძემ და ელდარ მამისთვალაშვილმა, პოეტებმა ჯემალ ინჯიამ, ვანო ჩხიკვაძემ, უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზაზა ცოტნიაშვილმა, ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდიანტმა თეონა ქურთაულმა, დოქტორანტმა ანა იმნაძემ და სხვებმა.

როსტომ ჩხეიძის გამოსვლამ, მისმა საუბარმა ჩვენი მწერლობის დღევანდელ მდგომარეობაზე და მის ხვალინდელ დღეზე, დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

## დღის კალენდარი

### 4 ნოემბერი

**22-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ოთხშაბათი.**

ხსენება მოციქულთა სწორისა ამბერკისა – იერაპოლის ეპისკოპოსისა. საკვირველთმოქმედისა (დაახლ. 167ძ; წმიდა შვიდთა ყრმათა ეფესელთა: მაქსიმილიანესი, იამბლიქოსი, მარტინიანესი, დიონისესი, ანტონინესი, ექსაკუსტოდიანესი (კონსტანტინეძ და იოანესი (დაახლ. 250ძ; მოწამეთა: ალექსანდრე ეპისკოპოსის ირაკლი მხედრისა და ოთხთა დედათა: ანნასი, ელისაბედისა, თეოდოტიასი და გლიკერიასი. დღესასწაული ყაზანის ღვთისმშობლის ხატისა.

### დაიბადნენ:

**1575 – გვიდო რენი,** იტალიელი ფერმწერი.

**1812 – ნინო ჭავჭავაძე,** პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი და ცნობილი რუსი მწერლისა და დიპლომატის ალექსანდრ გრიბოედოვის მეუღლე.

### გარდაიცვალნენ:

**1987 – იცხაკ რაბინი,** ისრაელის პრემიერ-მინისტრი, მოკლა ებრაელმა ექსტრემისტმა.

### მოვლენები:

**1493 წელი** – ქრისტეფორ კოლუმბის ექსპედიციამ კუნძული გვადელუპა აღმოაჩინა.

**1879 წელი** – ჯეიმს რიტიმ დააპატენტა პირველი საკასო აპარატი, რათა ბოლო მოეღო ბარმენთა ქურდობისათვის თავის მაღაზიაში ოჰაიოს შტატის პატარა ქალაქ დეიტონში.

**1890 წელი** – ლონდონში გაიხსნა მსოფლიოში პირველი მიწისქვეშა ტრანსპორტი – მეტრო.

**1922 წელი** – ინგლისელმა არქეოლოგმა ჰოვარდ კარტერმა აღმოაჩინა ფარაონ ტუტანჰამონის აკლდამა.

**1946 წელი** – პარიზში დაარსდა იუნესკო – გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია.

**1956 წელი** – საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ ბუდაპეშტში. დაუზუსტებელი მონაცემებით, დაიღუპა 25 ათასი უნგრელი და 7 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი.

**1970 წელი** – საბჭოთა კავშირში დაარსდა ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რომლის წესდებას ხელი მოაწერეს აკადემიკოსმა ანდრეი სახაროვმა, ანდრეი ტვერდოხლებოვმა და ვალერი ჭალიძემ.

**1980 წელი** – აშშ-ში პრეზიდენტის არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა რესპუბლიკელმა რონალდ რეიგანმა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ტონგა** – კონსტიტუციის დღე.
**პანამა** – დროშის დღე.
**აშშ** – უილ როჯერსის დღე.

**მედიანიუსი**

## ანეკდოტები

– წუხელ ძილში ტიროდი, – ეუბნება ცოლი ქმარს.
– დამესიზმრა, თითქოს ჩემგან წახვედი.
– ოჰ, სწორედ ამის გამო იტირებდი, აი...
– მაგრამ უცებ დაბრუნდი და...

* * *

– მამი, ზღაპარი მომიყევი რა...
– კარგი, მისმინე, შვილო. ხვალ სახლში ადრე მოვალ, ფხიზელი, დედაშენს ყვავილებს მოვუტან, შენ – ველოსიპედს.

* * *

ერთი გოგო გავიცანი. მაგრამ მისი მშობლები ჩვენი ბედნიერების წინააღმდეგი არიან.: უნდათ, რომ მასზე ვიქორწინო.

* * *

– მიხო, – ეუბნება მასწავლებელი, – მითხარი, რა დროა ეს სიტყვები – „მე ვბანაობ“, „შენ ბანაობ“?
– ზაფხული, შაბათი, შუადღე.

* * *

– ნეტავი რად უნდოდა მიხოს, ის ძაღლი რომ უყიდია?
– ალბათ იმისთვის, რომ სახლში ვიღაცისთვის მაინც შეეძლოს თქმა, ნუ იღრინები და იყეფებიო.

* * *

გიყურებ და ვფიქრობ, კიდევ დავლიო თუ უკვე მომწონხარ?

* * *

ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ: ღორის გრიპის ეფექტური მკურნალობისთვის აუცილებელია, რომ სამკურნალო დაწესებულებას დახმარებისთვის მიმართოთ დაავადების ნიშნების



გამოვლენამდე მინიმუმ ხუთი დღით ადრე.

* * *

ქალის საწოლში შესატყუებლად მამაკაცს, პრინციპში, ნებისმიერ სიმდაბლეზე შეუძლია წასვლა. ამაში მას შეიძლება აჯობოს მხოლოდ ქალმა, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გათხოვება.

* * *

– გიშველა ჩემმა ნასწავლმა ჯადოქრობამ?
– კი. საშინელებაა! ქმარი დაბრუნდა.
– რატომაა საშინელება?
– რატომ და, ამჟამინდელი ქმარი კი არა, გარდაცვლილი.

* * *

ბაბუა შვილიშვილს შოკოლადის მოტანას დაჰპირდა.
– ბაბუ, მომიტანე შოკოლადი? – ეკითხება შვილიშვილი სახლში დაბრუნებულ ბაბუას.
– არა, შვილო, დღეს არ მეცალა.
– დღეს მაინც მომიტანე შოკოლადი? – მეორე დღესაც ეკითხება შვილიშვილი.
– არა, ბაბუ, მაღაზია დაკეტილი იყო.
– ბაბუ, არც დღეს მოიტანე? – ჰკითხა მესამე დღესაც შვილიშვილმა.
– არ იყო, შვილო შოკოლადი, მხოლოდ მარმალადი ჰქონდათ.
– მერე მარმალადი მაინც მოგეტანა?
– დაიხსომე შვილო, სანამ ბაბუაშენი ცოცხალია, იცოდე, შენ მხოლოდ შოკოლადს შეჭამ.

* * *

– შეგიძლია ამიხსნა, რატომ ჩუქნით ასე იშვიათად მამაკაცები ქალებს ყვავილებს?
– თქვენ რომ საერთოდ არ გვჩუქნით ლუდს?

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.